პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

КОМУНИСТИ—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 ივნისი კვირა 1972

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 142 (15355)

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილებასა და ლაბორატორიებში მუშავდება გულ-სისხლძარღვთა და ფილტვის ქირურგიის ყველაზე აქტუალური საკითხები. ინსტიტუტის მეცნიერმა მედიკოსებმა შექმნეს და დანერგეს აპარატი რენიმატორი, რომელსაც გულის მუშაობის უეცარი შეწყვეტის დროს შეკუმშვის ადგილისსათვის იყენებენ. აქვე შეიქმნა სისხლის ეანგბადით გაჯერების ხელსაწყო.

ინსტიტუტის ცამეტ განყოფილებასა და ლაბორატორიაში 131 მეცნიერი მუშაკი მუშაობს, რომელთაგან ერთი აკადემიკოსი, 21 მეცნიერებათა დოქტორი და 64 მეცნიერებათა კანდიდატია.

სურათზე: ეს ერთ-ერთი სოფერაციაა. მიმდინარეობს მორიგი რთული ოპერაცია.

მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სოფლის მშრომელთა საზრუნავი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამ დღეებში განიხილა საკითხი „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები 1972 წელს ნათესებისა და მრავალწლიანი ნარგავების მოვლის, მოსავლის ორგანიზებულად აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და მეცხოველეობის საკვების დამზადების უზრუნველყოფის საქმეში“. პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მთელი ჩვენი ეკონომიკის აღმავლობის ტემპები, ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესების, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების ტემპები ბევრად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის წარმატებით განვითარებაზე.

ასრულებენ რა სოფლის მეურნეობის საკითხების შესახებ პარტიის XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, საქართველოს სოფლის მშრომელებმა ახალი ხუთწლედის პირველ წელს, უამინდობის მიუხედავად, გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში.

უფრო დიდი და პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან ჩვენი სოფლის მშრომელები ხუთწლედის მეორე წელს, საბჭოთა კავშირის შექმნის საიუბილეო წელს. მიმდინარე წელს საქართველოს სოფლის მშრომელები იმისათვის იბრძვიან, რომ საჰექმწიფოს მიჰყიდონ 260 ათასი ტონა ხორბლოვანი ჩაის ფოთოლი, 95 ათასი ტონა მარცვლეული, 170 ათასი ტონა ხილი, 190 ათასი ტონა ბოსტნეული, 80 ათასი ტონა კარტოფილი, 110 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი, 18 ათასი ტონა თამბაქო, 75 ათასი ტონა ხორცი, 185 ათასი ტონა რძე, 190 მილიონი ცალი კვერცხი და სხვა პროდუქტები.

საქართველოს პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მეტად საჭირო ღონისძიებანი განახორციელეს, რომ საშემოდგომო თავთავიანი კულტურებისა და საგაზაფხულო თესვა ორგანიზებულად ჩატარებულიყო. ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა თავის დროზე იზრუნეს ჯიშობრივ გაუჯობესებაზე, საშემოდგომოდ დათესეს ხორბლის უზგმოსავლიანი ჯიშები „ავრორა“, და „კავკაზი“, რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ამ ჯიშების ხორბლით დათესილია 4.064 ჰექტარზე. აქედან „ავრორა“ 2.832 ჰექტარზე, ხოლო „კავკაზი“ 1. 232 ჰექტარზე. ამ ჯიშების ხორბლით დიდ ფართობზეა დათესილი, წითელწყაროს, სიღნაღის, ლაგოდეხის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში.

ხორბლის ეს გვალვაგამძლე, უზგმოსავლიანი ჯიშები კახეთიდან მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმა სელექციონერებმა გამოიყვანეს. ორი წლის წინათ საქართველოშიც შემოიტანეს და ჩვენმა მემინდვრეებმა საქმიო წარმატებებსაც მიაღწიეს. წელს ჩვენი მემინდვრეები ამ ჯიშებიდან უხვ მოსავალს მოელიან.

სიღნაღის რაიონის მინდვრებში უკვე დაიწყო თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. პურეულის მკა მემინდვრეობის რაიონებში სულ მალე მთელი ძალით გაჩაღდება. ამოცანა ახლა ის არის, რომ სანიმუშოდ, ორგანიზებულად მოვაწყოთ მოსავლის აღება, დაბინავება და დამზადება.

სიღნაღის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობის კომკავშირელმა კომბაინერმა დიმიტრი ხუცურაულმა ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან მოწოდებით მიმართა საქართველოს ყველა კომბაინერს გააჩაღონ შეჯიბრება პურეულის მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის. რაიონების პარტიული, საბჭოთა კომკავშირული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების საპატიო ვალია ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კიროვოგრადის ოლქის მექანიზატორთა პატრიოტული თაოსნობის ფართოდ გავრცელებას, იზრუნონ შეჯიბრების ქმედითობისათვის, მასობრიობისათვის.

მარცვლეულის წარმოების გადიდების დიდი რეზერვია სიმინდი. ამ კულტურის უხვი მოსავლის მიღებისათვის შეჯიბრების ინიციატორებად გამოვიდნენ ყვარელი, გალისა და ხობის რაიონების მშრომელნი. მათს თაოსნობას მხურვალედ დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის ბევრი რაიონის მემინდვრეებმა და მექანიზატორებმა. პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების საპატიო ვალია უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ შეჯიბრების მომდინარეობას, იბრძოლონ სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

მიმდინარე წლის გაზაფხული ტენიანი, რაც ხელს უწყობს სათოხნ კულტურებში სარეველების ზრდას. სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ყოველი აგროღონისძიება დროულად უნდა ჩავატაროთ, მუშაობაში დავნერგოთ სათოხნი კულტურების კომპლექსური მექანიზაცია, აგროვადები, მაღალხარისხოვნად დავამუშაოთ ნათესები.

ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მრავალწლიანი ნარგავების ფართობების გადიდებისათვის, რამაც განამტკიცა მათი ეკონომიკა. გადიდდა შემოსავალი. დიდ ფართობებზე გაშენდა ჩაი, ვენახი, ხეხილის ბაღები და სხვა მრავალწლიანი ნარგავები. მიუხედავად იმისა, რომ შარშან მრავალწლიანი ნარგავების გაშენების გეგმა რესუბლიკაში შესრულდა, აფხაზეთის ასსრ, ზუგდიდის, წყალტუბოს, წულუკიძის, მაიაკოვსკის, ცხინვალის, ონის, გეგეჭკორის, ამბროლაურის რაიონების მთელმა რიგმა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მრავალწლიანი ნარგავების გაშენების გეგმები ვერ შეასრულეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ და ბევრმა სხვა რაიონებმა მრავალწლიანი ნარგავების გაშენებისათვის მიმდინარე წლის გაზაფხულზეც ჯეროვანი მუშაობა ვერ განახორციელეს.

ფაქტები მოწმობენ, რომ ამ ბოლო წლებში არ სრულდება ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის წარმოებისა და დამზადების გეგმები. ამ კულტურების მწარმოებელი რაიონებისა და საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა წელსვე უნდა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა უთუოდ შესრულდეს გეგმა და ქვეყანას მივცეთ 27 ათასი ტონა ნედლეული.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლისათვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, წარმატებით მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების წარმოება და დამზადება, დაიწყო თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. დიდი ამოცანების წინაშე დგანან ჩვენი მევენახეები, მეხილეები, მეციტრუსეები.

ზაფხულის ამ დღეებში უამრავი სამუშაოა. რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა უფრო მეტი ორგანიზებულობა უნდა გამოიჩინონ, დარაზმონ ყველა მშრომელნი ვალდებულებათა შესასრულებლად, მუშახელი ისე უნდა გაანაწილონ, რომ ყოველი სამუშაო თავის დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულდეს. მაშინ წარმატება გარანტირებული იქნება და საამაყო მაჩვენებლებით შევხვდებით სსრ კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

თბილისის სტუმარი

ქალაქ ოლბორგის (დანია) ბურგომისტრი მარიუს ანდერსენი, რომელიც სტუმრად არის თბილისში, განაგრძობს რესპუბლიკის დედაქალაქის ცხოვრების სხვადასხვა მხარის გაცნობას. 17 ივნისს მან დათვალიერა საქართველოს ხელოვნების მუზეუმი და სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა.

იმავე დღეს მარიუს ანდერსენი ვიზიტად იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, საგარეო საქმეთა მინისტრ შ. კიკნაძესთან. მეგობრული საუბრის დროს მ. ანდერსენმა მასპინძლებს გაუზიარა შთაბეჭდილებანი თბილისის შესახებ.

საუბარს ესწრებოდნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ბორდილაძე, რუსეთის სფსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი ვ. პროსკურინი, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო-საკონსულო განყოფილების გამგე გ. ჭიპაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგარეო ურთიერთობის განყოფილების გამგე ე. ნოდია.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ შ. ბუხრაშვილმა ვახშამი გაუმართა ქალაქ ოლბორგის ბურგომისტრს მარიუს ანდერსენსა და მის მცველებს. (საქინფორმი).

18 ივნისი მედიცინის მუშაკის დღეა

სადღესასწაულო საზეიმო კრებები

მოსკოვში

16 ივნისს სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა მედიცინის მუშაკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება, რომელიც გახსნა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა აკადემიკოსმა ბ. ვ. პეტროვსკიმ.

საბჭოთა მრეწველობის მინისტრმა პ. ვ. გუსენკოვმა კრებაზე აღნიშნა, რომ სსრ კავშირის შექმნის შემდეგ განვლილ ნახევარ საუკუნეში საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვამ და მედიცინის მეცნიერებამ დიდი წარმატებანი მოიპოვეს.

სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფის მხრივ ჩვენი ქვეყანა პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

საზეიმო კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკდესი).

თბილისში

16 ივნისს ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრში გაიმართა მედიცინის მუშაკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომა გახსნა საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. გოგოძემ.

მოხსენება მედიცინის მუშაკის დღესთან დაკავშირებით გააკეთა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ვ. ბოჭორიშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მე-2 კურსის სტუდენტი რ. ხონელიძე და თბილისის მე-4 სამედიცინო სასწავლებლის მე-2 კურსის მოსწავლე მ. სეთურიძე.

მედიცინის მუშაკის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ლელაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. რიგვავა.

სსრკ 50

ძმური, მეგობრული კავშირი

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ერთობლივი ღონისძიებანი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მზადების შესახებ

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების — აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ ხალხები საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახად ემსაზღვრიან ღირსეულად შესვდნენ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

ამიერკავკასიის ხალხებს ერთმანეთთან აკავშირებთ საერთო ისტორიული ბედი, ტრადიციული მეგობრობა, მრავალი წლის ერთობლივი ბრძოლა ცარიზმისა და ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დამხობისათვის. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და სოციალიზმის აშენებისათვის. კიდევ უფრო განმტკიცდა და ახალი მდიდარი და ქმედითი შინაარსით შეიავსო მათი მეგობრული ურთიერთობა კომუნისტური მშენებლობის პროცესში, სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა გადაწყვიტეს შეიმუშაონ ღონისძიებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის ერთად მზადებისა და ზეიმის მოწყობისათვის.

ამას წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მჟავანაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიიღო სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის მზადებასთან დაკავშირებით თბილისში ჩამოსული აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ტ. ალიევი და სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე პ. დალაქიანი და ესაუბრა მათ.

ამხ. ვ. მჟავანაძემ აღნიშნა, თქვა შესანიშნავი ტრადიციები აქვს ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას, რა საბრძოლო ინტერნაციონალური ერთიანობა აკავშირებთ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტურ ორგანიზაციებს. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების ერთგულმა, ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო შეკავშირებულმა ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა, — თქვა ამხ. ვ. მჟავანაძემ, — ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს რუსეთის ხალხთა ბრძოლაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, მუშათა და გლეხთა ძალაუფლების დამყარებისათვის, ამასთან უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები იქმნებოდნენ და მტკიცდებოდნენ არა ერთმანეთისაგან მოწყვეტით, არამედ ერთმანეთთან კავშირით, დიდხანს ჰქონდათ საერთო სამხარეო ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები. ამხ. ვ. მჟავანაძემ თქვა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკები შვიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში ერთად ამიერკავკასიის ფედერაციის სამუალებთ, რომელმაც უადგილად დიდი როლი შეასრულა ამ მხარის ხალხთა ეროვნული მშვიდობისა და მეგობრობის დამყარებაში.

ამხ. ვ. მჟავანაძემ აღნიშნა, რომ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის მომავალი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული იქნება პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ახალი გამარჯვება, რაც მკაფიოდ ასახავს მომმე სოციალისტურ ერთა ჭეშმარიტ აყვავებასა და თანდათანობით დაახლოებას, და გამოთქვა სურვილი, რომ 50 წლისთავისათვის მზადებამ ხელი შეუწყოს ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ ერთა ტრადიციული მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას. მან ხელი უნდა შეუწყოს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას. ეს იქნება ღირსეული პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილებასა და იმ ახალ შესანიშნავ წარმატებებზე, რომლებიც ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ მოიპოვეს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში.

ამ მიზნით, თქვა ამხ. ვ. მჟავანაძემ, მიზანშეწონილი იქნება განვიხილოთ და შევიმუშაოთ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ღონისძიებანი, რათა ერთად მოგემზადოთ და მოვაწყოთ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ზეიმი.

ამასანავ ვ. მჟავანაძესთან დარბაზობაზე იყვნენ და საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. გოგიჩაიშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. ბოგნისი.

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების შეთანხმებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების — ამხანაგების დ. გოგოხიას, ტ. ალიევისა და კ. დალაქიანის შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა ამიერკავკასიის სამი მომმე რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ერთობლივი ღონისძიებების განხილვას სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მომზადებასა და მოწყობასთან დაკავშირებით. დასახა ერთობლივი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საყოველთაო-სახალხო ღღესასწაულისათვის ღირსეულ შეხვედრას. ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

საჭიროდ ცნეს უფრო ფართოდ გაშალონ და უფრო ქმედითი გახადონ სოციალისტური შეჯიბრება შეცხრე ხუთწლედის მეორე წლის სასაღსო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის, უზრუნველყონ შეჯიბრების ფართო საჯაროობა და სისტემატიკურ შეაჯამონ ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების შედეგები, ყოველი ღონისძიებით გააფართოონ სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების ქალაქებს, რაიონებს, საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის. ტელევიზიით მოეწყობა სამი მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა გადაძახილი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სამრეწველო საწარმოების მოწინავე მუშაკები, სოფლის მეურნეობის მშრომელები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებისათვის, პარტიის ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპების პროპაგანდისათვის.

უახლოეს ხანში საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი მოაწყობს თეორიულ კონფერენციას თემაზე „იდეოლოგიური მუშაობის თეორია და პრაქტიკა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“, რომელზეც მოწვეული არიან ბაქოსა და ერევნის პარტიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. გათვალისწინებულია ბაქოში მოეწყოს თეორიული კონფერენცია თემაზე „შრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდა პარტიორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“, ხოლო ანალოგიური კონფერენცია თემაზე „კომუნისტური მორალის აღზრდის პრობლემები“ ეწყობა ერევანში. ფართოვდება ლექტორთა გაცვლა ამიერკავკასიის მომმე რესპუბლიკების მიღწევების პროპაგანდის გაძლიერების მიზნით. გადაწყვეტილია ერთობლივად შეიქმნას ფირადი ფილმი, რომელიც მიეძღვნება ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიღწევებს სსრ კავშირის ხალხთა ოჯახში.

ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტებს, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, საინფორმაციო სააგენტოებს წინადადება მიეცათ გაძლიერონ ამიერკავკასიის მომმე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის მიღწევების გაშუქება, პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპების განმარტება, პრაქტიკაში შემოიღონ გაცვლითი თემატური გაზეთის გვერდები და გადაცემები ტელევიზიითა და რადიოთი თემაზე „ამიერკავკასიის რესპუბლიკები სსრ კავშირის ხალხთა მბურ ოჯახში“.

შეხვედრის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ აგვისტოში ბაქოში მოაწყონ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, საინფორმაციო სააგენტოების მუშაკთა თათბირ-სემინარი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისთვის მზადების გაშუქების გამოცდილების გაზიარების შესახებ, ამასთან გაიმართება ჟურნალ-გაზეთების საუკეთესო ნომრებისა და ფოტომასალების გამოფენა თემაზე „ჩვენი ლენინური ოჯახი“.

შეხვედრის მონაწილეებმა საჭიროდ ცნეს, რომ ნოემბერში ბაქოში გაიმართოს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტების — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალების გაერთიანებული საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. გაიმართება აგრეთვე საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებული საიუბილეო სესია, რომლის სამი სხდომა მოეწყობა თბილისში, ბაქოსა და ერევანში.

ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის მწერალთა კავშირების გაერთიანებული პლენუმი, რომელზეც მოწვეული არიან ყველა მომმე მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები, იმუშავებს აგრეთვე ბაქოში, თბილისსა და ერევანში. დასახულია ამ პლენუმზე განიხილონ ამიერკავკასიის ერთა ლიტერატურული ურთიერთობის, მხატვრული თარგმანების ხარისხის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების მწერალთა ნაწარმოებებში ხალხთა მეგობრობის თემის გაშუქების საკითხები.

გაფართოვდება ამიერკავკასიის ხალხების ცხოვრებისა და მიღწევების შესახებ მხატვრულ ნაწარმოებთა თარგმანებისა და გამოცემების მოცულობა. ოქტომბერში თბილისში, ბაქოსა და ერევანში მოეწყობა საბჭოთა პოეზიის ინტერნაციონალური საღამოები.

გათვალისწინებულია ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის გაცვლის წესით მოეწყოს ცნობილი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენები. გაიმართება თეატრალური კოლექტივებისა და ცალკეული შემსრულებლების გასტროლები, საუკეთესო საკონცერტო ბრიგადებისა და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების გასტროლები.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ზეიმისათვის მზადებისა და მოწყობის ერთობლივ და სხვა ღონისძიებათა დასახული გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად საჭიროდ ცნეს მოეწყოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების განათლების, კულტურის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, ბეჭდვითი სიტყვის, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების, აგრეთვე მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების შემოქმედებითი კავშირებისა და თეატრალური საზოგადოებების თავმჯდომარეთა შეხვედრები.

შეხვედრასა და საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლთა განყოფილების გამგე ე. ჩერქეზიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ი. ჭავჭავა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ბ. აბაშიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი ი. აბაშიძე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი დ. მჭედლიშვილი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი შ. ყარყარაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ბარდაშევიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ს. რიბაკოვა, საინფორმის დირექტორი ვ. ჭიაურელი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე ზ. ახვლედიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ზ. ფირაძეშვილი. (საქინფორმი).

ერთგული ლენინელი

15 წლის წინათ მოსკოვის ერთ-ერთ ქუჩას ბულგარელი ხალხის დიდი შვილის საპატივცემლოდ მისი სახელი ეწოდა. ამას წინათ აქ, ამ ქუჩის დასაწყისში მოედანზე აღიმართა დიმიტროვის მონუმენტური ფიგურა.

ქარი არხევდა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დროშებს. 16 ივნისს ათასობით მოსკოველი მოვიდა დიმიტროვის ძეგლის გახსნაზე. ტრიბუნაზე არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები მ. ა. იასნოვი, ს. ბ. ნიაზბეკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. ლესეჩკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების ხელმძღვანელები... აქვე არიან ბულგარეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ტოდორ პავლოვი, ბულგარეთის კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ლუკანოვი, ბულგარეთის კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში სტოიან გიურეოვი.

მიტინგი გახსნა მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. თ. პრომისლოვმა, მან სიტყვა მისცა ვ. ვ. გრიშინს, რომელმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით გ. დიმიტროვის ძეგლი გახსნილად გამოაცხადა.

ყღერს საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკების ჰიმნები.

შეკრებილთა წინაშე აღიმართა ბრინჯაოში ჩამოსხმული ათმეტრიანი ფიგურა. წითელი გრანიტის კვარცხლბეკზე აწერია: „გიორგი დიმიტროვს, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, 1882-1949“.

ძეგლის ავტორები არიან მამა-შვილი კოტე და მერაბ მერაბიშვილები, არქიტექტორია რ. გეოწდევი.

საქართველოს სახალხო მხატვარმა, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კ. მერაბიშვილმა ეურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „ძეგლის შექმნას ორი წელი მოვანდომეთ. ეს ჩემი მეორე შეხვედრა იყო ბულგარეთის ხალხის დიდ შვილთან. პირველად მას საქართველოში, ბორჯომში შევხვდი, სადაც ის 1934 წლის ლაიფციგის პროცესის შემდეგ მკურნალობდა. მაშინ ნატურიდან გამოვძერწე მისი პორტრეტი. ახლა უფრო რთული ამოცანის წინაშე ვდგებით. უნდა შეგვექმნა ათი მეტრის სიმაღლის მონუმენტი. შეეცადეთ ფიგურის მოძრაობით გადმოგვეცა ხალხის ბელადის ტემპერამენტი ძლიერი სული“.

მოსკოვში დადგმული გიორგი დიმიტროვის ძეგლი, რომელიც მას მადლიერმა საბჭოთა ხალხმა აუგო დაბადების 90 წლისთავზე, არის მშვიდობის, დემოკრატიის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის სიმბოლო.

საზეიმო მიტინგი დამთავრდა. ძეგლის გარშემო მოედანი ყვავილების ათასობით თაიგულმა დაფარა..

დ. მაჭავარიანი,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: გ. დიმიტროვის ძეგლი მოსკოვში.

მოსკოვში გაიხსნა გიორგი დიმიტროვის ძეგლი

□

ჯდომარის პირველი მოადგილე კ. ლუკანოვი, ბულგარეთის კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში სტოიან გიურეოვი.

მიტინგი გახსნა მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. თ. პრომისლოვმა, მან სიტყვა მისცა ვ. ვ. გრიშინს, რომელმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით გ. დიმიტროვის ძეგლი გახსნილად გამოაცხადა.

ყღერს საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკების ჰიმნები.

შეკრებილთა წინაშე აღიმართა ბრინჯაოში ჩამოსხმული ათმეტრიანი ფიგურა. წითელი გრანიტის კვარცხლბეკზე აწერია: „გიორგი დიმიტროვს, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, 1882-1949“.

ძეგლის ავტორები არიან მამა-შვილი კოტე და მერაბ მერაბიშვილები, არქიტექტორია რ. გეოწდევი.

საქართველოს სახალხო მხატვარმა, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კ. მერაბიშვილმა ეურნალისტებთან საუბარში გან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

კამათი „მერეულთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიზედვით“ მოხსენებისა და თანამოხსენების გამო

დეპუტატ
დ. ს. მჟედლიძის
სიტყვა

კულტურის დაწესებულებები, სხვა აღმზრდელობით დაწესებულებებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. ამიტომ შემთხვევითი როდია ის დიდი ყურადღება, რასაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენს ამ დაწესებულებების მიმართ. სახელმწიფო ყოველწლიურად სულ უფრო მეტ თანხებს გამოჰყოფს კულტურის დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებას 22 სახელმწიფო და 37 სახალხო თეატრი, ათასობით კულტურის სახლი, მუზეუმი, კულტურისა და დასვენების პარკი ემსახურება. აღსანიშნავია, რომ 1971 წელს მარტო სახელმწიფო თეატრებმა როგორც ქალაქად, ისე სოფლად 8500-ზე მეტი სპექტაკლი გამართეს და მომსახურება გაუწიეს 3 მილიონზე მეტ კაცს.

მშრომელების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და მათი ესთეტიკური გემოვნების ამაღლების საქმეში თვალსაჩინო როლს ასრულებს მხატვრული თვითმოქმედება.

ისე, როგორც მთელ სსრ კავშირში, ჩვენშიც ხალხური შემოქმედება ფართოდ ვითარდება. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში ხალხური თვითმოქმედების 4 ათასზე მეტი კოლექტივი და წრეა, რომლებშიც გაერთიანებულია 70 ათასი მუშა, კოლმეურნე და ინტელიგენტი.

აღსანიშნავია, რომ 1971 წელს მხატვრულმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა 30 ათასზე მეტი საღამო-კონცერტი და წარმოდგენა გამართეს, რომელთაც მრავალი ათასი კაცი დაეს წერო.

მაგრამ მთელ რიგ რაიონებში (ქარელი, საგარეჯო და სხვ.) სათანადო ყურადღება არ ექცევა მხატვრული თვითმოქმედების განვითარებას. ზოგჯერ მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები მაშინ ანახლებენ მუშაობას, როცა დათვალიერებები და ფესტივალები ეწყობა.

ხალხური შემოქმედება ხალხის სულიერი საზრდოა, ამიტომ საჭიროა ხალხური შემოქმედების განვითარებისათვის მეტი ზრუნვა გამოიჩინონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა.

მშრომელთა ესთეტიკური და მხატვრული აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ქმედითი ფორმაა კულტურის უნივერსიტეტები, ამიტომ შემთხვევითი როდია ის დიდი ყურადღება, რომელსაც იჩენენ პარტიული და საბჭოთა ორგანოები ამ დაწესებულებებისადმი.

ჩვენს რესპუბლიკაში მრავალი სახალხო უნივერსიტეტია. მათ შორის 23 კულტურის უნივერსიტეტია, ზოგიერთი უნივერსიტეტი ნაყოფიერად მუშაობს და კავშირში აღიარება ჰპოვა.

მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. კულტურის უნივერსიტეტების ქსელი ნელა იზრდება. ჩვენი ამოცანაა მივაღწიოთ სახალხო უნივერსიტეტების ქსელის გეგმაზომიერ განვითარებას. მათ ორგანიზაციულ განმტკიცებას როგორც ქალაქად, ისე სოფლად, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა სახალხო უნივერსიტეტებისადმი.

როგორც აქ აღინიშნა, უკანასკნელ წლებში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს ხელმძღვანელობა კულტურის დაწესებულებებისადმი, რის შედეგად გაიზარდა ამ დაწესებულებების როლი მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის, მათი იდეური და კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

უკანასკნელ წლებში დიდად განმტკიცდა კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განსაკუთრებით სოფლად, აშენდა ბევრი კარგი კულტურის სახლი და კლუბი. ბიბლიოთეკებს მიეცათ კეთილმოწყობილი შენობები, მიუხედავად ამისა, მატერიალური ბაზის მხრივ არ გვაქვს კარგი მდგომარეობა. სასოფლო კლუბებისა და ბიბლიოთეკების გარკვეული ნაწილი კვლავ შეუფერებელია, ავარიულ შენობებშია მოთავსებული, განიცდიან სპეციალური ინვენტარისა და თანამედროვე ავეჯის ნაკლებობას. რესპუბლიკაში არ არის ისეთი საწარმო, რომელიც ამ დაწესებულებებისათვის მაღალი გემოვნებით დამზადებულ ავეჯს უშვებდეს. მიზანშეწონილად მიმაჩნია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკითხი განხილონ სათანადო ორგანოებმა.

დეპუტატ
ს. ზ. გოგიაშვილის
სიტყვა

ყვარლის რაიონს კულტურულ-საგანმანათლებო მუშაობაში საკმაოდ კარგი ტრადიციები აქვს, მაგრამ იმით, რაც აქამდე იყო, ახლა ვეღარ დავკმაყოფილდები. ჩვენთან ყოველწლიურად შენდება ახალი კლუბები და ბიბლიოთეკები. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ააშენეს ახალი ტიპის კულტურის სახლები და საკლუბო შენობები. ამჟამად ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა აშენებს 600-ადგილიან კულტურის სახლს. ამასთანავე უმჯობესდება და მტკიცდება კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, ბიბლიოთეკები მდიდრდება მხატვრული, პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ლიტერატურით, თვალსაჩინო მასალებით.

რაიონის სასოფლო კლუბებთან და კულტურის სახლებთან შექმნილია მხატვრული თვითმოქმედი წრეები, ანიტხატვრული ბრიგადები, სახალხო თეატრი, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. არის კულტურისა და ჯანმრთელობის სახალხო უნივერსიტეტები, რომლებშიც გაერთიანებულია 200-ზე მეტი კაცი.

კარგ ტრადიციად იქცა შეხვედრები შრომის მოწინავეებთან, ლვაწლმოსილ ადამიანებთან, ახალგაზრდებთან, სამამულო ომის მონაწილეებთან. სისტემატურად ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, კითხვა-პასუხის, თემატური, ლიტერატურული და პოეზიის საღამოები, კარნავალები.

მიმდინარე წლის ოქტომბერში მთელ საბჭოთა კავშირში აღინიშნება დიდი ხელოვანის კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავი. ეს იუბილეი რაიონის, როგორც მისი მშობლიური მხარის მშრომელებს ძალიან ბევრს გვაკისრებს, ამიტომაა, რომ რაიონში დიდი მზადებაა გაჩაღებული, წინასწარ შედგენილი საიუბილეო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის კაპიტალური რემონტი, გამოფენების რეექსპოზიცია, ეზო-გალაზონის დეკორატიული განახლება, მისივე სახელწოდების ქუჩის გაფართოება, კეთილმოწყობა და სხვა.

ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი პერიოდულად ამოწმებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობას და პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებს მათ მუშაობაში არსებული ზოგიერთ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

პატრიის რაიონულმა კომიტეტმა, რაისაბჭოს აღმასკომმა და კომკავშირის რაიკომმა უკანასკნელ წლებში სერიოზული ღონისძიებები განახორციელეს მშრომელთა ფიზიკური განვითარებისა და გაკაჟებისათვის. ახლა რაიონის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში 50-მდე ფიზკულტურული კოლექტივია, სადაც 10,300-მდე კაცია გაერთიანებული. ფიზკულტურული კოლექტივების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად მაღლდება რაიონის სპორტსმენთა სპორტულ-ტექნიკური ოსტატობა.

ჩვენი რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული დარგის მუშაკები კვლავაც ყველაფერს გააკეთებენ ხალხის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის, რითაც ღირსეულ წვლილს შეიტანთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელების საქმეში.

დეპუტატ
მ. შ. გვიჩიანის
სიტყვა

მესტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით რაიონის მოსახლეობაში კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის.

დიდი ოქმარის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის იუბილესთვის მზადებისა და ჩატარების პერიოდში რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის დიდი გამოცდილება შეიძინეს, ახლა ისინი ამ გამოცდილებას ფართოდ იყენებენ საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებაში.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში ზოგიერთი სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ჯერ კიდევ ვერ დგას პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მოთხოვნების დონეზე, რომ ამ საქმეში კვლავ გაგვაჩნია ნაკლოვანებანი. 42 კულტურული დაწესებულებიდან კერძო დაქირავებულ შენობაში გვყავს 21. განსაკუთრებით გამოუვალი მდგომარეობა გვაქვს რაიონის ცენტრში, სადაც გვაქვს 1928 წელს აშენებული ერთად-ერთი კულტურის სახლი, რომელიც ავარიულ ძველმოძველობაშია.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი ამ საქმეში ვერ გვიწევენ ჯეროვან დახმარებას. წინა წლებში მესტიაში გათვალისწინებული იყო კინოთეატრის შენებლობა. ამასთვის შერჩეული და გამოყოფილი იყო ადგილი. 1967 წლიდან მოყოლებული სამჯერ შეადგინეს შენობის პროექტი, რაშიც გადახდილია 15.000 მანეთი, მაგრამ დღემდე მაინც ვერ მივაღწიეთ კინოთეატრის შენებლობის დაწყებას.

რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის წარმოებულ მუშაობას, ისინი ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ სამართალდარღვევის ისეთი მიზეზების აღმოსაფხვრელად, როგორიცაა მუქთახორობა, ლოთობა, იარაღის უნებართვოდ ტარება და მისი შენახვა-გამოყენების წესების დარღვევა, ოჯახური, მეზობლური და სხვა საყოფაცხოვრებო კონფლიქტები და ა. შ.

უკანასკნელ წლებში მესტიის რაიონის სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის პრაქტიკაში დამკვიდრდა, რომ როგორც წესი, წელიწადში ერთხელ მაინც ჩატარდეს მოქალაქეთა საერთო კრება (ყრილობა), რომელზედაც იხილება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხები.

აღნიშნული და სხვა ღონისძიებების შედეგად რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში მოპოვებულია გარკვეული დადებითი შედეგები. მაგრამ რაიონის სადაბო და ზოგიერთი სასოფლო საბჭოს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობას საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების დარგში ახასიათებს არსებითი ნაკლოვანებანი. ამაზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ სამწუხაროდ კვლავ ადგილი აქვს მკვლელობის, სხეულის დაზიანების, ხულიგნობის, სახელმწიფო ქონების ქურდობისა და მითვისების, იარაღის უნებართვოდ ტარების ერთეულ შემთხვევებს.

მესტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი პერიოდულად ამოწმებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობას და პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებს მათ მუშაობაში არსებული ზოგიერთ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

პატრიის რაიონულმა კომიტეტმა, რაისაბჭოს აღმასკომმა და კომკავშირის რაიკომმა უკანასკნელ წლებში სერიოზული ღონისძიებები განახორციელეს მშრომელთა ფიზიკური განვითარებისა და გაკაჟებისათვის. ახლა რაიონის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში 50-მდე ფიზკულტურული კოლექტივია, სადაც 10,300-მდე კაცია გაერთიანებული. ფიზკულტურული კოლექტივების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად მაღლდება რაიონის სპორტსმენთა სპორტულ-ტექნიკური ოსტატობა.

ჩვენი რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული დარგის მუშაკები კვლავაც ყველაფერს გააკეთებენ ხალხის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის, რითაც ღირსეულ წვლილს შეიტანთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელების საქმეში.

დეპუტატ
მ. შ. გვიჩიანის
სიტყვა

მესტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით რაიონის მოსახლეობაში კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის.

ოქმარის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის იუბილესთვის მზადებისა და ჩატარების პერიოდში რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის დიდი გამოცდილება შეიძინეს, ახლა ისინი ამ გამოცდილებას ფართოდ იყენებენ საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებაში.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში ზოგიერთი სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ჯერ კიდევ ვერ დგას პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მოთხოვნების დონეზე, რომ ამ საქმეში კვლავ გაგვაჩნია ნაკლოვანებანი. 42 კულტურული დაწესებულებიდან კერძო დაქირავებულ შენობაში გვყავს 21. განსაკუთრებით გამოუვალი მდგომარეობა გვაქვს რაიონის ცენტრში, სადაც გვაქვს 1928 წელს აშენებული ერთად-ერთი კულტურის სახლი, რომელიც ავარიულ ძველმოძველობაშია.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი ამ საქმეში ვერ გვიწევენ ჯეროვან დახმარებას. წინა წლებში მესტიაში გათვალისწინებული იყო კინოთეატრის შენებლობა. ამასთვის შერჩეული და გამოყოფილი იყო ადგილი. 1967 წლიდან მოყოლებული სამჯერ შეადგინეს შენობის პროექტი, რაშიც გადახდილია 15.000 მანეთი, მაგრამ დღემდე მაინც ვერ მივაღწიეთ კინოთეატრის შენებლობის დაწყებას.

რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის წარმოებულ მუშაობას, ისინი ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ სამართალდარღვევის ისეთი მიზეზების აღმოსაფხვრელად, როგორიცაა მუქთახორობა, ლოთობა, იარაღის უნებართვოდ ტარება და მისი შენახვა-გამოყენების წესების დარღვევა, ოჯახური, მეზობლური და სხვა საყოფაცხოვრებო კონფლიქტები და ა. შ.

უკანასკნელ წლებში მესტიის რაიონის სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის პრაქტიკაში დამკვიდრდა, რომ როგორც წესი, წელიწადში ერთხელ მაინც ჩატარდეს მოქალაქეთა საერთო კრება (ყრილობა), რომელზედაც იხილება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხები.

აღნიშნული და სხვა ღონისძიებების შედეგად რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში მოპოვებულია გარკვეული დადებითი შედეგები. მაგრამ რაიონის სადაბო და ზოგიერთი სასოფლო საბჭოს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობას საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების დარგში ახასიათებს არსებითი ნაკლოვანებანი. ამაზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ სამწუხაროდ კვლავ ადგილი აქვს მკვლელობის, სხეულის დაზიანების, ხულიგნობის, სახელმწიფო ქონების ქურდობისა და მითვისების, იარაღის უნებართვოდ ტარების ერთეულ შემთხვევებს.

დეპუტატ
ე. ბ. სურგულაძის
სიტყვა

ჩვენი ხვალინდელი დღე, ჩვენი ცხოვრების სიამაყე და სიხარული ახალგაზრდობაა და მისი მსოფლმხედველობის, ზნეობრივი მრწამსის, მისი სულიერი კულტურის ჩამოყალიბება უპირველეს ამოცანად უნდა იქცეს.

ჩვენს ახალგაზრდობას შექმნილი აქვს ყველა პირობა თავისი ნიჭისა და უნარის გამოვლინებისათვის. მისთვის გადაშლილია ფართო ასპარეზი წინსვლისა და ძიებისათვის. ყოველივე ეს კი პარტიისა და მთავრობის განუხრელი ზრუნვის შედეგია.

საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის მზადების საქმეში განათლების ორგანოებს დახმარებას უწევენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებები და მათადამი დაქვემდებარებული ბავშვთა ოთახები, არასრულწლოვანთა კომისიები. საგრძნობლად შემცირდა კლასში დარჩენილ და სკოლიდან განთავისუფლებულ მოსწავლეთა რიცხვი, მაგრამ ჯერ კიდევ არის არასრულწლოვანთა დანაშაულის ჩადენის შემთხვევები.

მოსწავლის გახვევა სკოლიდან სასწავლო-საადმზრდელო მუშაობის ძირითადი ნაკლია. ამ ნაკლის აღმოფხვრა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მასწავლებელი თავისი მოწოდების სიმაღლეზე იქნება.

თუ პედაგოგს არა აქვს უნარი ყოველ მოსწავლეში დაინახოს პიროვნება, რაც არცთუ ისე ადვილია, მითუმეტეს მაშინ, როცა ერთ კლასში სხვადასხვა ნიჭისა და უნარის, სხვადასხვა ეროვნების, კულტურის სხვადასხვა დონის მოსწავლე სწავლობს, უმჯობესია ლატოვოს სკოლა.

პედაგოგი დრმად უნდა ჩასწვდეს მოზარდის სულს, პირველ ყოვლისა შენიშნოს მასში დადებითი, რომელის გარეშე არ არსებობს ადამიანი, ჩასჭიდოს მას ხელი და აქედან გამომდინარე დაუწყოს ნორჩ სულს წვრთნა. დადებითის მიგნებით მოსწავლეს ვუღრმავებთ რწმენას ჩვენდამი და საკუთარი თავისადმი, რწმენა გვეძლევა ჩვენი აღსაზრდელისადმი.

მოზარდის სულიერი წყურვილის დაკმაყოფილება ერთ-ერთი ფაქტორია პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ბავშვის ბუნება სწავლის გარდა თამაშს, გართობას ითხოვს, ამისათვის კი ხელსაყრელი პირობების შექმნაა საჭირო. ბავშვთა გარკვეული ნაწილი ეზოში თამაშის საშუალებას მოკლებულია, რადგან თავისუფალი ადგილები მანქანების სადგომებს უჭირავთ.

როგორც სკოლის, ისე საცხოვრებელი სახლების ეზოების, სკვერების მოწყობაში პედაგოგ-ორგანიზატორების ინიციატივით აქტიურ მონაწილეობას მოსწავლეები უნდა ღებულობდნენ, შეჯიბრებები იწვევდნენ ერთმანეთს, ვის უფრო კეთილმოწყობილი ეზო ექნება. ასეთი ხასიათის ღონისძიება შრომისადმი სიყვარულისა გაუღვიძებს მოზარდს და სხვისი შრომის დაფასების გრძნობაც გამოუმუშავებდა.

მოსწავლეთა დაინტერესების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სპორტული ღონისძიებები. დიდია ჩვენში მოსაბდების სპორტით დაინტერესება. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ სკოლას არა აქვს ხელსაყრელი პირობები სპორტული ღონისძიებების სათანადოდ ჩატარებისათვის. არც ერთ სკოლას არ გააჩნია საცურაო აუზი, რომლის მოწყობა არ არის დიდ სიძნელესთან დაკავშირებული. რა დიდ სიამოვნებას მოაკვარდა პატარებს საჭყუმპალოები, რომლებიც დღეისათვის არც ერთ ბაგა-ბაღს არა აქვს.

ხშირად უსაყვედურებენ უცხოური ფილმების მაგნე ზეგავლენას. მოითხოვენ ცალკე კინოთეატრების გამოყოფას მოზარდებისათვის და მხოლოდ მათთვის განკუთვნილი ფილმების ჩვენებას. ჩვენი აზრით, მთავარი ეს კი არ არის, მთავარია ფილმების სწორად გაგებაში დაგეხმაროთ მოზარდებს. ამ მიზნით უნდა მოეწყოს ნანახი ფილმის საჯარო განხილვა.

მარნეულის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის
მ. უ. ყულიევის
სიტყვა

მერიმელთა დეპუტატების მარნეულის რაიონული და სასოფლო საბჭოები დიდ მუშაობას ეწევიან კულტურული აღზრდისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის, მშრომელთა აქტივობის ამაღლებისათვის. ახლა რაიონში ოთხი კულტურის სახლი, 25 სასოფლო კლუბი, 43 ბიბლიოთეკა, მუსიკალური სკოლა, მუშაობს 234 მხატვრული თვითმოქმედების სხვადასხვა წრე, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობს 3.690 კაცი. მარშან კულტურულ-აღზრდელობითი მუშაობის თემებზე წაკითხული იყო 700 ლექცია და მოხსენება. სისტემატურად ეწყობა კონცერტები, სპექტაკლები. მარტო მიმდინარე წლის სუთ თვეში რაიონის კინოდანადგარებით უჩვენეს დასახლებებით 430 ფილმი.

რაიონული და ადგილობრივი საბჭოების სესიებზე სისტემატურად იხილავენ მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების, კულტურის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და ცალკეული კლუბების, ბიბლიოთეკებისა და კულტურის სახლების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს. შექმნილია და მოქმედებენ მუდმივი კომისიები, კარგად მუშაობენ მშობლთა კომიტეტები სკოლებში, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები, ამხანაგური სასამართლოები. ყოველივე ეს მოწმობს ხალხთან საბჭოების მჭიდრო კონტაქტს.

დადებითი შედეგები მოიტანა დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებამ, აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის ამაღლებამ, კანონიერების ზუსტად დაცვამ. ყოველივე ეს ვლინდება საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის მუშაობაში. აწონ-დაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს მარცვლეულის წარმოების გადიდების შესახებ მოწოდების პასუხად ხუთწლიანი დავალება შეასრულონ ოთხ წელიწადში. მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს შესრულდა მარცვლეულის, ყურძნის, ბოსტნეულის, ხრცის, ძროის, მატყლის, ეთერზეთოვანი კულტურების, ხილისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსთვის მათი მიყიდვის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი. რაიონის 20 საბჭოთა მეურნეობიდან ცხრამეტმა გასული სამეურნეო წელი რენტაბელურად დაამთავრა, მიიღო 4 მილიონ მანეთზე მეტი საერთო მოგება.

ამ ბოლო წლების მანძილზე რაიონში აშენდა 19 სასოფლო მაღაზია, მსხვილი სავაჭრო ცენტრი მარნეულში, ორი პურის საცხობი და მთელი რიგი სხვა საყაჭრო ობიექტები.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში შეიმჩნევა ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რიცხვის ზრდა. საჭიროა ყოველნაირად ვებრძოლოთ კანონიერების დარღვევების გამოვლინებებს, ყოველ უბანზე, ყოველ ზრიგადაში, ფერმაში, საამქროში შეიქმნათ ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო, დაარაზმოთ მშრომელები მათთან საბრძოლველად.

დეპუტატ
ვ. თ. თოდუას
სიტყვა

ბეგეჭაურის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით მოსახლეობაში კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის. საგრძნობლად ამაღლდა რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა ამ საქმეში.

რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეს. მარტო გასულ 1971 წელს რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს უსასყიდლოდ გადაეცა 12 ახალი შენობა-ნაგებობა, ამით სათანადო პირობები შეექმნა მოსახლეობის კულტურული აღზრდის გაუმჯობესების, კულტ-საგანმანათლებლო მუშაობაში ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმისათვის.

კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საკითხთან. უნდა ითქვას, რომ რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები სათანადო მუშაობას ეწევიან დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის. პროფილაქტიკური მუშაობის უკეთესად წარმართვის მიზნით მშრომელთა დეპუტატების ყველა სასოფლო საბჭოში აღრიცხული არიან ისეთი პირები, რომელთა შორის ადგილი აქვს ოჯახურ, მეზობლურ და სხვა საყოფაცხოვრებო კონფლიქტებს, ლოთობენ, ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას და სხვ.

მოსახლეობაში კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლება, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის დარგში მუშაობის გაუმჯობესება დადებით შედეგს იძლევა. რაიონის მშრომელთა დეპუტატების 7 სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე გასული 1971 წლისა და მიმდინარე წლის სუთი თვის განმავლობაში არც ერთი სასჯელდანაშაული არ მომხდარა. სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის საქმეში დიდი წარმატებებია აქვთ მშრომელთა დეპუტატების გურეშმის, ნაგვასაოს, ვედიდკარის, გაჭედილის, ნახუნავოს და სხვა სასოფლო საბჭოებს.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონში მიღწეულია გარკვეული დადებითი შედეგები დანშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამ საქმეში ჯერ კიდევ არის არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი. შეიძლება ითქვას, რომ რაიონში დანშაულობის დონე კვლავ მაღალია. 1972 წლის სუთი თვის განმავლობაში რაიონში რეგისტრირებულია სისხლის სამართლის 24 დანაშაული, ეს გასული წლის შესაბამის პერიოდში რეგისტრირებულ დანაშაულობათა რაოდენობაზე 7 ერთეულით ნაკლებია, მაგრამ დანაშაულის რიცხვი მაინც დიდია.

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს გეგეჭკორის სადაბო, დიდი ჭყონის, ბეედათის სასოფლო საბჭოებს. მშრომელთა დეპუტატების აღნიშნული საბჭოები ჯერ კიდევ მთელი შესაძლებლობით არ იბრძვიან დანაშაულობათა აღსაკვეთად, სუსტია მათი კონტაქტი რაიონის აღმინისტრაციულ ორგანოებთან, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრას, რომლებიც იწვევენ სამართალდარღვევებს.

ჩვენ ვეგეჭკორის რაიონის მშრომელები პირობას ვაძლევთ სესიის მონაწილეებს, რომ ყველა საჭირო ღონისძიებებს გავატარებთ მოსახლეობაში კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად და სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად, არ დავზოგავთ ენერგიას და ძალას, რათა მეცხრე ხუთწლედის შერე წელი მაღალი მაჩვენებლებით დავამთავროთ და სასახელოდ შეეხვედეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

დეპუტატ
ი. ბ. გამრეკელის
სიტყვა

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ახალგაზრდობის კულტურული დონის ამაღლება, ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს თავისი მუშაობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიაჩნია.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში რესპუბლიკების კომკავშირული ორგანიზაციების ძირითად ამოცანას წარმოადგენს მისი გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების გამოვლენა, ზრუნვა იმისათვის, რომ აღიკვეთოს ყოველგვარი სახის დანაშაული და მოისპოს მათი წარმომშობი ყველა პირობა. ამ საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებასა და დანაშაულის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლაში ფართო კომკავშირული აქტივის ჩაბმის საქმეს.

გაწეულ მუშაობას უკვე მოაყვა შედეგები. მაგრამ, როგორც მოხსენებასა და თანამოხსენებაში ითქვა, ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებთან ბრძოლის აუცილებლობა გვავალებს უფრო მეტი მონდომებით ვიმუშაოთ.

კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი აქტიურად მონაწილეობს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებისა და სახალხო სასამართლოების საქმიანობაში. მათი ძალებით ტარდები ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, ეწყობა მასობრივ-პოლიტიკური ღონისძიებები, სხვადასხვა სახის რეიდები, შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან და კომკავშირული მოძრაობის ვეტერანებთან, სასამართლოს, პროკურატურის, მილიციის მუშაკებთან ერთად ხორციელდება პროფილაქტიკური ღონისძიებები. ტრადიციად იქცა ხელმძღვანელი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკების შეხვედრები ახალგაზრდებთან სოციალისტური კანონიერების განმტკიცების აქტუალურ საკითხებზე.

ახალგაზრდობაში სამართლის პროპაგანდისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ამა წლის 1 ივნის

კამათი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტის გამო

დეპუტატ ვ. გ. ბოჭორიშვილის სიტყვა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის მიღება დიდად შეუწყობს ხელს რესპუბლიკაში მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ სწრაფ განვითარებას.

კანონი ითვალისწინებს ისეთ ნორმებსა და დებულებებს, რომელნიც ქმნიან ყველა პირობას სკკპ XXIV ყრილობის მითითებათა შესასრულებლად.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ იგრძნობა ექიმთა არათანაბარი განაწილება. განსაკუთრებით დიდია ექიმთა ნაკლებობა მაღალმთან რაიონებში. მაგალითად, თუ ზოგიერთ მთის რაიონში ექიმებით დაკომპლექტება 80 პროცენტს აღწევს, სხვა რაიონებში 40-50 პროცენტია. მაგრამ უკანასკნელი ორი წლის და განსაკუთრებით ბოლო წლის განმავლობაში რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატი აბორიციელებენ ერთობლივ გადამჭრელ ღონისძიებებს ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად. მინდა მოვახსენო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას, რომ მიღწეულია საგრძნობი გარდატეხა.

მაგრამ საქმე მარტო რაოდენობა როდია. იმის გამო, რომ ბოლო წლებამდე კურსდამთავრებული სპეციალისტები ხშირად იცვლიდნენ სპეციალობას და სამინისტრო არ წარმართავდა ამ თითქმის სტიქიურ პროცესს, რესპუბლიკაში შეიქმნა დისპროპორცია. ბევრი გვყავს გინეკოლოგები, ლარინგოლოგები, სტომატოლოგები და საგრძნობლად გვაკლია ისეთი სპეციალისტები, როგორიც არიან ანესთეზიოლოგები, ფსიქიატრები, ფთიზიატრები და სხვა. ახლა სამინისტრო ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს, და გარწმუნებთ, ამხანაგო დეპუტატებო, რომ სულ რამდენიმე წელიწადში ეს ნაკლიც აღმოფხვრილი იქნება.

მედიცინის მატერიალური ბაზაც საკმაოდ გაძლიერდა. მარტო მერვე ხუთწლედში საქართველოში აშენდა 65 სამედიცინო ობიექტი, აქედან აშენდა ან რეკონსტრუირებულია 38 საავადმყოფო, სადაც დამატებით გამოჩაა — 4.695 საწოლი. განსაკუთრებით დიდ პერსპექტივებია მიმდინარე ხუთწლედში. ამ ხუთწლედში ჩვენ უნდა ავაშენოთ 115 სამედიცინო ობიექტი — თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე წინა ხუთწლედში. ჩვენი სახელმწიფოს მიერ გამოყოფილია დიდი კაპიტალური დაბანდებანი ამ მშენებლობის განსახორციელებლად. ახლა საქმე მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შევძლებთ ამ ზრუნვის დაფასებას და მთლიანად და დროულად ავითვისებთ კაპიტალურ დაბანდებებს.

საქართველოში, სადაც რევოლუციამდე არცერთი სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი არ არსებობდა, ამჟამად 22 ამ პროფილის ინსტიტუტია. სიამაყითა და სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მთელ საბჭოთა კავშირში და ზოგიერთი მათგანი — საზღვარგარეთაც. ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობს 2200 მეცნიერ მუშაკი. აქედან 272 მეცნიერებათა დოქტორი და 980 კანდიდატი, ხოლო 17 კაცს მინიჭებული აქვს აკადემიკოსის ან აკადემიის წევრ-კორესპონდენტის წოდება. ეს დიდი არმიაა, რომელსაც შესწევს უნარი გადაჭრას დიდი საკითხები.

გასულ ხუთწლედში საგრძნობლად განვითარდა. სპეციალიზებული სამედიცინო დახმარება.

შექმნილია სპეციალიზებული ცენტრები და განყოფილებები კარდიოლოგიის, ინფარქტის, ნეკროლოგიის, ნეიროქირურგიის, ტრავმატოლოგიის, უროლოგიისა და სხვა. ჩამოყალიბდა მსხვილი სარაიონთაშორისო დაწესებულებები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო თბილისში შექმნილი 80-საწოლიანი სამკურნალო ფიზიკულტურის დისპანსერი. განსაკუთრებით — მეთქი, ვამბობ, რადგან ეს დაწესებულებაა, სადაც ბავშვებს თავიდან აცილებენ ინვალიდობას ან უმსუბუქებენ მას. ეს კი, ამხანაგო დეპუტატებო, რა თქმა უნდა, ფასდაუდებელია.

ბევრი გაკეთდა და კეთდება სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლებისათვის. საკმარისია მოვიყვანოთ თუნდაც ერთი მაჩვენებელი. პირველად ავადმყოფის ექიმის მიერ გასინჯვა. მერვე ხუთწლედამდე სოფლის მოსახლეობის 40 პროცენტს საშუალო სამედიცინო მუშაკები სინჯავდნენ, დღეს კი მხოლოდ 5 პროცენტს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის კანონის პროექტი წარმოადგენს ერთიან, ზედმიწევნით დახვეწილ, კარგად ჩამოყალიბებულ დოკუმენტს, რომელშიც განსაზღვრულია მედიცინის მუშაკის უფლება და მოვალეობა, ყველა მოქალაქის უფლება და მოვალეობა ჩვენი საზოგადოების ყველა წევრის ჯანმრთელობის დაცვის განმტკიცების დარგში. ამ კანონის განხორციელება კიდევ უფრო განამტკიცებს ჯანმრთელობის დაცვის სისტემას საქართველოს სს რესპუბლიკაში.

დეპუტატ ლ. ა. ხოზრევანიძის სიტყვა

საბჭოთა სახელმწიფო ერთადერთია მთელ მსოფლიოში, რომელმაც თავისი გამარჯვების პირველ დღეებიდანვე იკისრა ზრუნვა მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ოფიციალურებში დასახულია ღონისძიებანი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის მიმდინარე ხუთწლედში.

სხვებთან ერთად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში წარმატებებს აღწევენ აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკის მშრომელებიც.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარის მოსახლეობის ჯანმრთელობის საქმე ექიმმაბრების ხელში იყო და რამდენიმე ექიმი ეწეოდა კერძო პრაქტიკას, ამჟამად აჭარის ავტონომიურ სს რესპუბლიკაში მუშაობს 900-ზე მეტი სამედიცინო სპეციალისტი უმაღლესი განათლებით. ყოველ 10 ათას მცხოვრებზე ყველა უწყებაში მოდის 31 ექიმი და 109 სამუალო სამედიცინო პერსონალი.

ამჟამად აჭარის ავტონომიურ სს რესპუბლიკის მოსახლეობას ემსახურება 265 სხვადასხვა პროფილის სამკურნალო დაწესებულება.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში აშენდა და გაფართოვდა მთელი რიგი სამკურნალო დაწესებულებები: ფსიქიატრიული 300 საწოლიანი საავადმყოფო, ქედის 120 საწოლიანი ცენტრალური რაიონული საავადმყოფო, დაიწყო შუახევის 120 საწოლიანი რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს მშენებლობა.

გათვალისწინებულია მიმდინარე წელს რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან შეიქმნას ანესთეზიოლოგიის ცენტრი, ხოლო მალე აჭარაში ჩამოყალიბდება რეამინაციის განყოფილება სათანადო კადრები მომზადებით.

აჭარის ავტონომიურ სს რესპუბლიკაში გახსნილია სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების განყოფილებები: ტრავმატოლოგიური, ოროლოგიური, ნერგული, ყიელ-ყურ-ცხვირის და სხვა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე მოსახლეობის სპეციალიზებული სამედიცინო დახმარება.

სახელდობრ, არ არის შესრულებული ზემდგომი ორგანოების დადგენილება სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების, კერძოდ, სიდამწვრის, ნეიროქირურგიული და სხვა უმნიშვნელოვანეს სახეობათა განყოფილებების ან ცენტრების გახსნის თაობაზე.

ხელვაჩაურის რაიონს სრულებით არა აქვს საავადმყოფო. ამჟამად არსებული 50 საწოლიანი საავადმყოფო, რომელიც მთთავსებულია მშრომელთა საცხოვრებლად აშენებულ ბინაში, სრულებით ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკის მოსახლეობის სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების და ხელვაჩაურის რაიონის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების უკეთ დაყენებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ხილვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე აშენდეს 600 საწოლიანი მრავალპროფილიანი საავადმყოფო.

ცუდად არის დაყენებული შუახევის რაიონში საოფთალმო მომსახურება. რაიონის ცენტრალურ აფთიაქში მუშაობს ერთად-ერთი სპეციალისტი, ისიც საშუალო განათლებით, რომელიც ძირითადად მოსახლეობას უწრუნველყოფს მხოლოდ მზა მედიკამენტების გაცემით. როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიოშიც კი მოსახლეობის სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფის მხრივ, ეს საამაყოა. მიუხედავად ამისა, სასოფლო ამბულატორიები ზეკბის განმავლობაში არ არის დაკომპლექტებული ექიმთა კადრებით.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ვთხოვ ჯეროვანი ყურადღება დაუთმოს ამ საკითხის მოგვარებას.

დეპუტატ ა. პ. ლაფერაძის სიტყვა

ჩვენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონის პროექტს იმ პერიოდში განვიხილავთ, როდესაც სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ჩვენი მშრომელები ახალ-ახალი წარმატებებით ეგებებიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

მე ვცხოვრობ და ვმუშაობ ქალაქ ტყიბულში მეშახტეთა ქალაქში. ჩვენმა მეშახტეებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ქვანახშირის ამოღების გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები, მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს ტყიბულის მეშახტეებმა საშობოლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 70531 ტონა ქვანახშირი, ხოლო თვითდირებულების შემცირებით სახელმწიფოს რამდენიმე ათასი მანეთი დაუზოგეს.

ტყიბულის სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც დიდი წარმატებებით დაამთავრეს გასული სამეურნეო წელი. თავი ისახელეს ჩვენმა მეჩაიეებმა, რომლებმაც გეგმის გადაჭარბებით მოკრიფეს 335 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ხოლო მომდინარე წელს იკისრეს სოციალისტური ვალდებულება — მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 414 ტონა შეგეგმითი ჩაის მწვანე ფოთოლი.

მეშახტეთა ჯანმრთელობის დაცვას ჩვენს ქალაქში ემსახურება 16 სამედიცინო დაწესებულება, მათ შორის 5 პოლიკლინიკა, 5 საავადმყოფო 445 საწოლით, ქალაქ ტყიბულისადმი დაქვემდებარებულ სოფლებში გახსნილია 11 სამედიცინო დაწესებულება, მათ შორის 5 საავადმყოფო 167 საწოლით.

ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ გვესაჭიროება ქალაქის მუშა-მოსამსახურეებისათვის 420 საწოლიანი საავადმყოფო, აგრეთვე საჭიროა სასწრაფო წესით აშენდეს 50 საწოლიანი ინფექციური საავადმყოფო. მივაქცევთ რა ამას სესიის ყურადღებას, ვთხოვთ შესაბამის ორგანოებს გაითვალისწინონ ასეთი საავადმყოფოს აშენება ქ. ტყიბულში.

თუ ოქტომბრის რევოლუციამდე ტყიბულში ერთი ექიმი და ერთი საშუალო სამედიცინო პერსონალი ემსახურებოდა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, ამჟამად ჩვენი მშრომელების ჯანმრთელობის დაცვის სამსახურშია 171 ექიმი, აქედან სამი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ხოლო საშუალო სამედიცინო პერსონალი — 500 კაცით განისაზღვრება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ სპეციალისტ ექიმების ნაკლებობას განვიცდით. არ გვყავს საჭირო რაოდენობით პედიატრები, საამქროების თერაპევტები, სოფლის ამბულატორიის ექიმები, ანესთეზიოლოგები და სხვა სპეციალობის ექიმები.

ვთხოვ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გაითვალისწინოს ეს გარემოება, რათა დაკომპლექტდეს საშტატო ერთეულები ექიმ-სპეციალისტებით.

ქალაქი ტყიბული სამრეწველო, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქია, სადაც 23 ათასზე მეტი მცხოვრებია. ასეთი ქალაქისათვის აუცილებელია ერთიანი საწმენდი ნაგებობანი და კანალიზაცია. ამ საქმეში ტყიბულის მეშახტეებს საჭირო დახმარება უნდა გაუწიოს კომბინატ „საქქვანახშირის“ ხელმძღვანელობამ.

მოსახლეობის დიდი მოწონებით სარგებლობს გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ და რესპუბლიკური პრესის სხვა ორგანოების მიერ გამოქვეყნებული წერილები სამედიცინო თემებზე, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის გადაცემები და კონსულტაციები სხვადასხვა დაავადების პროფილაქტიკის, მკურნალობის, სამკურნალწამლო პრეპარატების დანიშნულებისა და მოხმარების შესახებ და სხვა.

ეს პრაქტიკა კვლავ უნდა გაგრძელდეს.

დეპუტატ მ. ა. ჩერქეზიშვილის სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია განიხილავს რა ახალი კანონის პროექტს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, დარწმუნებული ვართ, რომ ამ კანონს სიხარულით მიიღებს მთელი ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა, რადგან კანონის პროექტის შესამე მუხლის შესაბამისად, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ერთნაირად ევალება ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას.

ახორციელებს რა მშრომელთა დეპუტატების აბასთუმნის სადაბო საბჭო ჩვენი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, უშუალოდ იღებს მონაწილეობას ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების კეთილმოწყობაში, მატერიალური ბაზის გაფართოებაში, სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე პერიოდულად განიხილავს ჯანმრთელობის დაწესებულებების მუშაობის საკითხს. საკმარისია ითქვას, რომ ბოლო წლებში ახალ კეთილმოწყობილ შენობაში გადავიდა კურორტის პოლიკლინიკა და სამშობიარო სახლი, კეთილმოწყობილი ხლება კურორტის სანატორიუმები. სამკურნალო დაწესებულებების კაბინეტ-ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურით.

მაგრამ როგორც მთლიანად ადიგენის რაიონისათვის, ასევე კურორტისათვისაც დღემდე ნომერ პირველ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ექიმებით დაკომპლექტების საკითხი, ხოლო ისეთი სპეციალისტები, როგორიცაა ოკულისტი, ნეკროპათოლოგი და ლარინგოლოგი, საერთოდ არა გვყავს რაიონში.

მინდა სესიის წინაშე დავაყენო საკითხი, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გაითვალისწინოს რაიონის კანონიერი მოთხოვნა კადრებით დაკომპლექტების საკითხში, რათა რაიონის მკვიდრთ შეეძლოთ ადგილზე მიიღონ ყოველგვარი სამედიცინო დახმარება.

დღეს, როგორც არასოდეს რაიონის ადგილობრივი საბჭოები, მათი ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობის სანიტარული კულტურის ამაღლების საკითხს, მაგრამ ამ საკითხის სრულყოფილად განხორციელებას ხელს უშლის წყალსადენებისა და გამწმენდი ნაგებობების უწესივრობა. დღეისათვის ადიგენის რაიონული ცენტრის მოსახლეობის მხოლოდ 30 პროცენტი სარგებლობს საკანალიზაციო გაყვანილობით, ხოლო კურორტ აბასთუმნის წყალსადენი და საკანალიზაციო სისტემა მთლიანად მოძველებულია და ვერ აკმაყოფილებს აღნიშნული ნაგებობებისათვის დადგენილ ნორმებს.

ვიწონებთ რა განსახილველად წარმოდგენილი ჯანმრთელობის დაცვის კანონის პროექტს, გთხოვთ დაამტკიცოთ იგი.

ბულგარელი ხალხის დიდი შვილი

გიორგი დიმიტროვის დაბადების 90 წლისთავი

შესრულდა ოთხმოცდაათი წელი გიორგი დიმიტროვის დაბადებიდან. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, ყველა ქვეყნის პროგრესულ ადამიანთა ხსოვნაში დღეს ერთხელ კიდევ გაცოცხლდება გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელის, უდრეკი რევოლუციონერის, უბადლო ანტიფაშისტი ტრიბუნის, მეზნებარე ინტერნაციონალისტის, ბულგარელი ხალხის დიდი შვილის მოსმიბვლელი სახე.

მადლიერი ადამიანები გონების თვალით გადახედავენ გიორგი დიმიტროვის მშფოთვარე ცხოვრებისა და შეუპოვრობით აღსავსე რევოლუციური მოღვაწეობის სახელოვან გზას, რომელსაც აკონკრეტებს მისივე სიტყვები: „მე კომუნისტი ვარ, ნამდვილი კომუნისტი, და მუდამ ვიქნები კომუნისტი.“

1882 წლის 18 ივნისს ბულგარეთის სოფელ კოვაჩევიცში მიხეილ და პარასკევა დიმიტროვების ოჯახს ვაჟიშვილი შეეძინა. პატარა გიორგიმ ბავშვობიდანვე ოფრძნო მაშინდელი სოციალური ცხოვრების ურვა და ვარამი. მალე მშობლებთან ერთად ჭაბუკი საცხოვრებლად გადავიდა ქ. სოფიაში. აქ იგი მოეწყო სტამბაში ასოთამწყობად. ბუნებით მეამბოხე ახალგაზრდის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი ოური შეასრულა კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის შრომების გაცნობამ, 18 წლის დიმიტროვი საფუძველიანად სწავლობდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“.

ხალხისადმი მგზნებარე სიყვარულმა, ყოველგვარი ჩაგრისა და ძალადობისადმი სიძულვილის გრძნობამ დიმიტროვი რევოლუციონერი გახადა. იგი 1902 წელს შედის ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში.

მარქსისტული თეორიის ღრმა ცოდნამ, მაშინდელი ბულგარეთის ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების მიმართ მარქსიზმის გამოყენების უნარმა, მასების ორგანიზაციის ნიჭმა, გ. დიმიტროვს პოპულარობა და ავტორიტეტი მოუპოვა რევოლუციონერთა წრეში. ამიტომაც 21 წლის ახალგაზრდა არჩეულ იქნა „ტესნიაკების“ ორგანიზაციის სოფიის ხელმძღვანელ ბიუროს შემადგენლობაში, რომელსაც სათავეში ედგა რამდენიმე წლის განმავლობაში. მისი ხელმძღვანელობით სოფიის ეს ორგანიზაცია გადაიქცა პარტიის მასობრივ ორგანიზაციად. 1904 წლიდან გიორგი დიმიტროვი მონაწილეობას იღებს პარტიის ყველა ყრილობის მუშაობაში. 1909 წლიდან მას უცვლელად ირჩევენ „ტესნიაკების“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში.

1904 წლიდან გ. დიმიტროვი ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებს ბულგარეთის პროფესიული მოძრაობის ორგანიზაციაში. 1909 წელს მას ირჩევენ ბულგარეთის რევოლუციურ პროფესიული გაერთიანების მდივნად. ეს თანამდებობა დიმიტროვს უცვლელად ეჭირა 1923 წლამდე.

გავიდა დრო. გ. დიმიტროვის სახელი და საქმიანობა გასცდა ბულგარეთის საზღვრებს. იგი ყურადღებით ადევნებს თვალყურს საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებს და ამხილებს იმპერიალიზმის ხრიკებს ბალკანეთის ნაწილის დაპყრობლობაზე, საკუთარი ერის ინტერესებისადმი ადგილობრივი ბურჟუაზიის ღალატს, აქტიურად მონაწილეობს ბალკანეთის სოციალ-დემოკრატების პირველი (1909 წ.) და მეორე (1915 წ.) კონფერენციების მუშაობაში, ბულგარეთის საერთაშორისო პროფკავშირულ კონფერენციაში (1911 წ.) იგი ხელმძღვანელობდა ბულგარეთის „ტესნიაკების“ პარტიის დელეგაციას რუმინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე 1912 წელს.

პირველი მსოფლიო ომი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ყველა მიმდინარეობის მკაცრი გამოცდა იყო. გ. დიმიტროვმა თავიდანვე აუწო აღღო მოვლენებს, მხურვალედ გამოეხმაურა რუსი ბოლშევიკების მოწოდებას და ომისადმი დამოკიდებულების საკითხში საუსებით სწორი პოზიცია დაიკავა. მან გააჩაღა ენერგიული ბრძოლა ბულგარეთში საყოველთაო მობილიზაციისა და იმპერიალისტურ ომში ბულგარეთის მონაწილეობის წინააღმდეგ. ცხადია, მეზნებარე რევოლუციონერის ასეთმა, მოქმედებამ გამოიწვია რეაქციული ძალების რისხვა. ამ პერიოდში მათ არაერთხელ სცადეს გ. დიმიტროვის სიცოცხლის ხელყოფა ტეროორის გზით, მაგრამ, საბედნიეროდ, საწადელს ვერ მიაღწიეს.

გ. დიმიტროვზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. მან კარგად გაიგო და შეისისხლხორცა, რომ ამ რევოლუციამ გაიმარჯვა ლენინიზმის დროშით, რომ ეს რევოლუცია მოსსწავებდა ძირეულ მობრუნებას კაცობრიობის ისტორიაში ძველი, კაპიტალისტური სამყაროდან ახალი, სოციალისტური სამყაროსაკენ. ახლა დიმიტროვი შეუდგა მასებში ოქტომბრის რევოლუციის იდეების პროპაგანდას. ხელისუფლების დამსჯელი ორგანოები კვალდაკვალ დასდევდნენ დიმიტროვს და, ბოლოს დაპატიმრეს კიდეც. მაგრამ მაშინ ბულგარეთში იმდენად მაღალი იყო რევოლუციური აღმავლობის დონე, რომ ხელისუფლებას შეეშინდა და დიმიტროვი თვითონვე გაათავისუფლა ციხიდან. ეს იყო 1918 წლის დეკემბერში. 1919 წლის დასაწყისიდანვე დიმიტროვის ინიციატივით „ტესნიაკების“ პარტია გამოცხადდა „ბულგარეთის კომუნისტურ პარტიად“, რომელიც შეიდა კომუნისტურ ინტერნაციონალში.

გ. დიმიტროვი სიამაყით აღეკვნებდა თვალს რუსეთის მიწაზე ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ტრიუმფალურ სეალს, მშრომელთა პირველი ხელისუფლების მიერ უცხოვთის ინტერვენციის ლაშქრობის განადგურებას სამოქალაქო ომში. წითელი არმიის სახელოვან გამარჯვებებს, მშრომელთა მიერ ახალი ყოფის, ახალი ცხოვრების დაფუძნებას, სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელების პირველ ნაბიჯებს. ბულგარელმა კომუნისტებმა გ. დიმიტროვი გაგზავნეს თავიანთ წარმომადგენლად კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესზე.

ეს იყო 1921 წლის მარტში. გ. დიმიტროვმა მაშინ პირველად ნახა სინერთაშორისო პროლეტარიატის დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი. ბელადის გულთბილმა მეგობრულმა და საუბრებმა დიმიტროვზე წარუშლელი კვალი დატოვა. მან ამ დაუვიწყარი შეხვედრის აღსანიშნავად ვ. ი. ლენინს უსახსოვრა ბულგარულ-ფრანგული ლექსიკონი წარწერით: „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ჩვენს საყვარელ და უგადლო ბელადს ავხანაგ ლენინს — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გ. დიმიტროვი. მოსკოვი, 1921 წ. 5/III“.

იმავე წლის ბოლოს გ. დიმიტროვი მდიდარი შთაბეჭდილებით აღსავსე დაბრუნდა სამშობლოში. მან უფრო მტკიცედ მოჰკიდა ხელი ბულგარეთის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის საქმეს. დღითა-დღე იზრდებოდა გაფიცვები, დემონსტრაციები. პოლიტიკური მოვლენების ბარომეტრი ბულგარეთში კლასობრივ ძალთა გაწონასწორებაზე მიუთითებდა. არსებულ ხელისუფლებას უკვე აღარ შეეძლო რევოლუციის ძალთა შეკავება. და სწორედ ამ დროს კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის კარნახით ბულგარელი ხალხის ჯალათმა ცანკოვმა 1923 წლის 9 ივნისს მოაწყო ფაშისტური გადატრიალება.

ამ პერიოდში გ. დიმიტროვი სათავეში ჩაუდგა ფაშისტური დიქტატურის დამხობისათვის მუშათა კლასის ორგანიზაციის საქმეს. 1923 წლის სექტემბერში მოეწყო ანტიფაშისტური შეიარაღებული აჯანყება, მაგრამ იგი დამარცხდა. ფაშისტურმა სასამართლომ გ. დიმიტროვს, როგორც ამ აჯანყების მთავარი რევოლუციური კომიტეტის ხელმძღვანელს, დაუსწრებლად გამოუტანა სიკვდილის განაჩენი. გავიდა ხანი, ფაშისტურმა ხელისუფლებამ 1926 წელს კვლავ მოაწყო პროვოკაციული თავდასხმა ბულგარეთის კომპარტიაზე. დაიწყო ოეთრი ტეროორი, კომუნისტა-პატრიოტების სასამართლო დევნა. ფაშისტურმა სასამართლომ გ. დიმიტროვს ამჯერადაც გამოუტანა დაუსწრებლად სიკვდილის განაჩენი.

1923 წლის სექტემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ გ. დიმიტროვი იძულებული გახდა დროებით დაეტოვებინა სამშობლო და ემიგრაციაში წასულიყო.

1933 წელს გერმანიაში ფაშისტებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება ავანტიურის გზით, მაგრამ იმ პერიოდში მათ არ შეეძლოთ აშკარად მიეტანათ იერიში რევოლუციის ძალებზე. ამიტომ ფაშისტებმა მიმართეს ნაცად ხერხს — პროვოკაციას. ჰიტლერელებმა თვითონვე წაუკიდეს ცეცხლი რაიხსტაგის შენობას და მერე ეს კომუნისტებს დაბრალეს. გ. დიმიტროვი მაშინ კომინტერნის აღმასკომის დავალებით (1929 წლიდან) განაგებდა კომინტერნის აღმასკომის დასავლეთ ევროპის ბიუროს და ბერლინში იმყოფებოდა. ფაშისტებმა იგი სხვა თვალსაჩინო კომუნისტებთან ერთად დააპატიმრეს.

და სწორედ ამ პერიოდში მსოფლიოს წინაშე მთელი სისრულით გამოჩნდა გიორგი დიმიტროვის, როგორც რევოლუციონერის სიდიადე.

სასამართლო პროცესზე, რომელიც სამ თვეზე მეტხანს გაგრძელდა, დიმიტროვმა მაშინ კომინტერნის აღმასკომის დავალებით (1929 წლიდან) განაგებდა კომინტერნის აღმასკომის დასავლეთ ევროპის ბიუროს და ბერლინში იმყოფებოდა. ფაშისტებმა იგი სხვა თვალსაჩინო კომუნისტებთან ერთად დააპატიმრეს.

და სწორედ ამ პერიოდში მსოფლიოს წინაშე მთელი სისრულით გამოჩნდა გიორგი დიმიტროვის, როგორც რევოლუციონერის სიდიადე.

სასამართლო პროცესზე, რომელიც სამ თვეზე მეტხანს გაგრძელდა, დიმიტროვმა გააკეთა ყველაფერი, რომ მთელი მსოფლიოსათვის ეჩვენებინა ჰიტლერელ ავაზაკთა დანაშაულებრივი მოქმედება. იგი ბრალდებულიდან გადაიქცა მკაცრ ბრალმდებლად.

„მე მინდოდა ყოფილიყავი თავისუფალი, — ამბობდა დიმიტროვი პროცესზე, — მებრძოლა კომუნისმისათვის ჩემს ქვეყანაში. მაგრამ რაკი დამსვეთ საბრალმდებლო სკამზე, მე აქაც ვეუბვი ბრძოლას ჩემი შეხედულებებისათვის... მე ვთვლი, რომ სასამართლოს წინაშე თავი დავიჭირო როგორც პოლიტიკურმა ბრალდებულმა და არა როგორც სამხედრო ტყვემ... მე არ ვეძებ არც შეწყალებას, არც სიმპათიას. მე მოვითხოვ მომცეთ მხოლოდ შესაძლებლობა დავიცვა თავი როგორც კომუნისტმა“.

პროგრესულმა კაცობრიობამ მთელ მსოფლიოში გაარაკა ფართო კამპანია გ. დიმიტროვის დასაცავად. საბჭოთა მთავრობამ მას მიანიჭა სსრ კავშირის მოქალაქეობა. ყველა ქვეყანაში იმართებოდა მძლავრი საპროტესტო დემონსტრაციები ლოზუნგით: „გაათავისუფლეთ გიორგი დიმიტროვი“.

1934 წლის 27 თებერვალს გ. დიმიტროვი მოსკოვში ჩამოვიდა. იგი ჩვეული ენერგიით ჩაება კომინტერნის აღმასკომის მუშაობაში. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად იგი შეუდგა ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ კომუნისტური პარტიების ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხების დამუშავებას. კომინტერნის VII კონგრესზე გაკეთებულ მოხსენებაში და სხვა გამოსვლებში დიმიტროვი მოუწოდებდა შეექმნათ ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ერთიანი სახალხო ფრონტები. VII კონგრესზე გ. დიმიტროვი აირჩეულ იქნა კომინტერნის აღმასკომის გენერალურ მდივნად.

საბჭოთა ხალხმა საკუთარი შვილივით შეიყვარა, შეისისხლხორცა გიორგი დიმიტროვი. იგი 1937 წელს არჩეულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

საბჭოთა საქართველოს მშრომელების ხსოვნაში დღესაც ცოცხალია დიმიტროვის სახე. იგი 1934 წლის ზაფხულშივე ეწვია საქართველოს, მოინახულა აჭარის ლაკვარდოვანი ცა და მიწა... დედასთან ერთად ისვენებდა ბორჯომში. მისი ახლო მეგობრები იყვნენ გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერები ი. სტალინი, ს. ორჯონიკიძე, მ. ცხალაია, ფ. მახარაძე, ნ. ბუაჩიძე, ა. ენუქიძე და სხვები. დღეს დიმიტროვის სასელს ატარებს საქართველოს მრავალი საწარმო, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა თუ ქუჩა.

დიდ სამამულო ომში ფაშიზმზე სსრ კავშირის გამარჯვებამ გ. დიმიტროვს საშუალება მისცა ყოფილიყო ბულგარეთის აღორძინების სათავეში. 1946 წლის ნოემბრიდან იგი იყო ბულგარეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო 1948 წელს ბულგარეთის მუშათა (კომუნისტების) პარტიის V ყრილობაზე არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

ახალი სოციალისტური ბულგარეთის მშენებლობის პერიოდში შეწყდა ამ დიდი ადამიანის სიცოცხლე (1949 წლის 2 ივლისი). მაგრამ დღეს მის ნაწარმოებებზე, მისი ცხოვრების და ბრძოლის მაგალითზე ახალი თაობის კომუნისტები სწავლობენ რევოლუციის საქმისათვის თაგდადებას, კომუნიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულებას.

ბ. ნაბუეგია.

ფილიპე მახარაძე და გიორგი დიმიტროვი. ბორჯომი, 1934 წლის 30 ივლისი.

კამათი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის სანგარიშო მოხსენების გამო

დეპუტატ კ. ი. ქავთარაძის სიტყვა

იმასთან დაკავშირებით, რომ ვითარდება და სრულყოფილი ხდება სახალხო მეურნეობა, ფართოდ ინერგება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, იზრდება შრომის ნაყოფიერება, მკვეთრად მატულობს ცალკეული საწარმოო ერთეულების პროდუქტიულობა, კავშირგაბმულობის როლი და მოთხოვნილება მისდამი უფრო მეტად იზრდება, ვიდრე ჩვენი ეკონომიკის განვითარ

„კომუნისტის“ პრიზზე

თბილისის რაკალი

კომბინირებული ამანათრბენი ჩვენი გაზეთის გარდამავალ თასზე

18 ივნისს, დღის 12 საათზე, ჩვენს ქალაქში მეორედ მიეცემა სტარტი ტრადიციულ კომბინირებულ ამანათრბენ „თბილისის რაკალს“ გაზეთ „კომუნისტის“ პრიზზე.

პირველად ამ სახის ამანათრბენი მოეწყო გასული წლის 26 დეკემბერს, „კომუნისტის“ 50 წლისთავის იუბილეს დღეებში. სპორტსმენები არ შეუშინდნენ სუსხიან ამინდს და ეტაპებზე ცხარე, ნამდვილი „საზაფხულო“ ბრძოლა გააჩაღეს. ფინიშთან, რომელიც, ისევე როგორც სტარტი, „კომუნისტის“ რედაქციის შენობის წინ არის, მაშინ პირველნი დინამოელი სპორტსმენები მიიჭრნენ.

გუნდი დაჯილდოებულ იქნა „კომუნისტის“ გარდამავალი პრიზით, რომელიც წელს კვლავ ელის თავის მფლობელს. გამარჯვებულთა შორის სხვა კოლექტივი იქნება, თუ თასი კვლავ დაუბრუნდება „დინამოს“, ამას დღევანდელი ასპარეზობა გვიჩვენებს.

ნუ ვიმარჩიელებთ, უმჯობესია სპორტსმენებთან ერთად „გავუვეთ“ ამანათრბენის ეტაპებს:

I. „კომუნისტის“ რედაქცია — მძლეოსანი ვაუები;

II. „ზარია ვოსტოკას“ რედაქცია — მძლეოსანი ქალები;

III. ოფიცერთა სახლი — მძლეოსანი ვაუები;

IV. მეტრო „ლენინის მოედანი“ — მძლეოსანი ქალები;

V. ქალაქის საბჭო — მძლეოსანი ვაუები;

VI. ბორგასლის მოედანი — მძლეოსანი ქალები;

VII. მეტეხის ხიდი — ველოსიპედისტები;

VIII. ქორწინების სახლი — მძლეოსანი ვაუები;

IX. ბორკის სახ. კულტურის სახლი — მძლეოსანი ქალები;

X. მარჯანიშვილის მოედანი — ველოსიპედისტები;

XI. კინოთეატრი „ოქტომბერი“ — მძლეოსანი ვაუები;

XII. კინოსტუდია „ქართული-ფილმი“ — ველოსიპედისტები;

XIII. გმირთა მოედანი — მძლეოსანი ვაუები;

XIV. სალონი „ენაქელა“ — მძლეოსანი ვაუები;

აი, ამანათრბენში მონაწილე გუნდების ნომრები: „დინამო“ — 1, 9, 17; „განთიადი“ —2, 10, 18; „განათლების განყოფილება — 3, 11, 19; „შრომითი რეზერვები“ — 4, 12, 20; „ბურევესტნიკი“ — 5, 13, 21; „ლოკომოტივი“ — 6, 14, 22; „სპარტაკი“ — 7, 15, 23.

18 ივნისი მედიცინის მუშაკის დღეა

ცხოვრების ბურჯი, ქვეყნის მოპავალი

ერთი დღე ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტში

ბოსანალეობის ზრდის, შობადობის საკითხი კარგანანია ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში დგას. უკანასკნელ წლებში იგი საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მსჯელობის საგნად იქცა. ფართო გამოხმაურება ჰპოვა პრესაშიც. ამ თემაზე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში მრავალი წერილი შემოდის.

ჩვენი კორესპონდენტი ლ. ძიძამიძე ეწვია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პროფესორ ი. ყორდანიას სახელობის ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ჯ. ციციშვილს და სთხოვა პასუხი გაეცა მკითხველისათვის საინტერესო რამდენიმე კითხვაზე.

ჩვენი ინტერვიუ

როგორც ცნობილია, ამ გიორინდ ხანებში როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ისე საბჭოთა კავშირში, კერძოდ, საქართველოში, მეტწილად მცირეშვილიანობა აღირიცხება, რას იტყოდით ამ საკითხზე?

— მცირეშვილიანობა და მრავალშვილიანობა თავისთავად პრობლემა არ არის. შობადობის რეგულაცია — აი პრობლემა!

არის ქვეყნები, სადაც მრავალშვილიანობა შემაწუხებელია. მაგრამ არსებობს ქვეყნები, სადაც, პირიქით, მცირეშვილიანობაა შემაშფოთებელი.

— როგორია ჩვენი შობადობის მდგომარეობა. ძირითადად რა განაპირობებს მას?

— უკანასკნელ წლებში დადგინდა, რომ როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ისე საბჭოთა კავშირში წარმოებს ბავშვთა რაოდენობის ეგრეთწოდებული ოჯახშიდა რეგულირება, რაც უმთავრესად ორი შვილით განისაზღვრება. ამ მხრივ დაბალი მაჩვენებლებია ჯერ ბალტიისპირეთის რეპუბლიკებში, შემდეგ რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, ბელორუსიასა და საქართველოში.

თუ გადავხედავთ საქართველოში შობადობის სტატისტიკურ მონაცემებს, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: ყოველ ათას მოსახლეზე საშუალოდ შობადობის კოეფიციენტი 1940 წელს იყო 27,4, 1950 წელს — 23,5; 1960 წელს—24,7; 1970 წელს—19,0.

შობადობის ასეთი ძლიერი დაეცმა სხვა ფაქტორებთან ერთად გამოიწვია სამამულო ომის ძნიშვნელოვანმა.

რაც უფრო მაღალია ადამიანთა შეგნება და კულტურა, მით უფრო იზრდება მათი მოთხოვნილება. ეხადებათ სურვილი — შექმნან ცხოვრების უკეთესი პირობები როგორც თავიანთვის, ისე ბავშვებისათვის. სამწუხაროდ, მშობლები ასეთ ვითარებაში გამოსავალს ერთი ან ორი შვილის ყოლაში პოულობენ. ფიქრობენ, რომ ამით არც თვითონ „შეწუხდებიან“ და ბავშვებსაც კარგად აღზრდიან.

ჭეშმარიტი პატრიოტიზმის გამოვლინება მარტო ბრძოლის ველზე არ ხდება... მას ვხედავთ შრომის ფრონტზე და ოჯახშიც... განა ნაკლებ გმირობასთან არის დაკავშირებული დედის გმირობა, რომელიც სამშობლოს მრავალ შვილს უზრდის?

ქართველი დედა მხოლოდ იმაზე წუხდა, ერთ შვილზე მეტი თუ არ ყოლებოდა, მამულს ერთ ვაჟაცზე მეტს ვერ შესწირავდა. ალბათ ბევრს ახსოვს, რას ამბობს ილია ჭავჭავაძის ქართველის დედა:

„მე ვწუხვარ მარტო მასზედ,
რომ ჩემს სიბერეს
ნანუგეშებლად მხოლოდ ერთი
მოეცა შვილი.
მე ვწუხვარ მასზედ, რომ ჩემს
მამულს ამ ნეტარს დღეს
მხოლოდღა ერთი შეეკვდება
ჩემგან შობილი“.

ახლაც გვაფავს გმირი დედები, რომელთა მკერდს „გმირი დედის“ ორდენი ამშვენებს. აი ისინი: ჩვიდმეტი შვილის დედა ხობის რაიონის საჯიჯაოს მკვიდრი ოოოა ზარანდია, სოციალისტური შრომის გმირი, თერმეტი შვილის ალმზრდელი გუგეშკორელი მეჩაიე მარგო ჩიქვანაია...

მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ცოტანი არიან. სამ-ოთხშვილიანი ოჯახებიც თითებზე ჩამოსათვლელი გახდა...

მცირეშვილიანობის პასუხისმგებლობას მარტო დედებს ვერ დავაკისრებთ. ამ საკითხში სხვა ფაქტორებთან ერთად (ეგულისხმობთ ბავშვიანი ქალის შრომას და საყოფაცხოვრებო პირობებს, რომელთა გაუმჯობესების საკითხი სკკპ XXIV ყრილობაზე იყო დაყენებული და ამ მხრივ უკვე ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება კიდეც) მეუღლეთა მხარდაჭერას — მეგობრობას, ერთგულებას და ხელის შეწყობას გარკვეული და შეიძლება ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ თავი და თავი მაინც ქალია.

— თავისთავად ცხადია, მცირეშვილიანობა აფერხებს მოსახლეობის ზრდას. მცირეშვილიანობის ერთერთი მთავარი მიზეზი, უფრო სწორად, საშუალება — აბორტი კი მედიცინის მუშაკებზეა დამოკიდებული, რას გვეტყვით ამის შესახებ?

— აბორტის ჩატარება შეიძლება მხოლოდ საექიმო ჩვენებით, ისიც ექიმ-სპეციალისტის, გინეკოლოგის მიერ, საავადყოფოს პირობებში. დანარჩენ შემთხვევაში იგი ბისხლის სამართლის დანაშაულია.

ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად აღინიშნება დაახლოებით ორმოცდახუთი — ორმოცდაექვსი ათასი აბორტის შემთხვევა. ეს რაც საავადყოფოებში არის რეგისტრირებული, მაგრამ რაც მაღუნალად კეთდება? შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ციფრი საერთოდ გაკეთებული აბორტის მხოლოდ ერთ მეათედს შეადგენს. საჭირო სამედიცინო საზოგადოებამ და საგამომძიებლო ორგანოებმა აბორტმაჩერების მიმართ კიდევ უფრო მკაცრი ზომები მიიღონ.

— რას გვეტყვით უშვილობაზე, შობადობის შემცირების ამ მრთი უმხედველი თითქოს ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზზე?

— ყველა ზემოთ დასახელებული მიზეზის დაძლევა თავისუფლად შეიძლება, თუ კი ისინი ადამიანების შეგნებამდე დავა და ამისთვის ჩვენც ვიზრუნებთ. მაგრამ უშვილობა, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს როგორც გენეტალური ორგანოების პათოლოგიამ, ისე სხვა მიზეზებმაც, შედარებით რთული დასაძლევია, რადგან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გამოკვლევასა და მკურნალობასთან.

უშვილობის, უფრო სწორად, უნაყოფობის მიზეზი მეტ წილად ქალია, მაგრამ ხშირად მამაკაცებსაც მიუძღვით ბრალი. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ უშვილო ქორწინების შემთხვევათა ორმოც პროცენტში მამაკაცია „დამნაშავე“.

— როგორც ცნობილია, თქვენს ინსტიტუტს დიდი ხვლილი შეაქვს შობადობის რეგულირების საქმეში. რაში გამოიხატება ეს ხვლილი, როგორია ამ მხრივ თქვენი მუშაობის სპეციფიკა?

— ჩვენი ინსტიტუტის მთავარი ამოცანაა შობადობის რეგულაცია, უშვილო ქორწინების მოწესრიგება, უშვილობის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება. მთელი ჩვენი მუშაობაც — როგორც პრაქტიკული, ისე მეცნიერული, ამ გზით წარიმართება.

ასეთი კომპლექსური, მონოპროფილური, სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულება, როგორიც ჩვენი ინსტიტუტია, შეიძლება ითქვას — მსოფლიოში მეორე არ არსებობს.

როგორც აღვნიშნეთ, უშვილობა შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო გენეტალური ორგანოების პათოლოგიამ, არამედ სხვა მიზეზებმაც. ამიტომ საჭიროა უშვილო ადამიანის მთლიანად, კომპლექსურად გამოკვლევა. ასეთი გამოკვლევა კი მხოლოდ ჩვენს ინსტიტუტში წარმოებს. ეს არის მისი მუშაობის სპეციფიკურობაც, რამაც განაპირობა ის, რომ ჩვენთან სამკურნალოდ ჩამოდიან საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქალაქიდან და საზღვარგარეთიდანაც.

— როგორც აღნიშნეთ, უშვილობის მიზეზი მამაკაცებიც არიან. თქვენი ინსტიტუტის სახელმწიფოების მიხედვით თუ ვიმსჯელეთ, თქვენთან მხოლოდ ქალები უნდა მკურნალობდნენ. რას გვეტყვით ამის შესახებ?

— რადგან უშვილობაში მამაკაცებიც არიან „დამნაშავენი“, ვატარებთ როგორც ქალების, ისე მამაკაცების მკურნალობას. ამდენად ჩვენი ინსტიტუტის სახელწოდებაც „ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის“... არაზუსტად მიმაჩნია.

— როგორც ჩვენს კავშირში, ისე საზღვარგარეთ საყოველთაოდ ცნობილია თქვენი ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობა, მეცნიერული და პრაქტიკული მუშაობის შედეგებიც. რას ეტყვით ამის შესახებ ჩვენი გაზეთის მკითხველებს? რა სიახლე გაქვთ?

დიდ ყურადღებას ვაქცევთ ენდოკრინული მოშლილობით და ანთებითი პროცესებით გამოწვეულ უშვილობის პათოგენეზს და მის მკურნალობას. ამ თვალსაზრისით მეტად დიდმნიშვნელოვანია ჩვენივე თანამშრომლების მიერ შემუშავებული უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მთელი რიგი ორიგინალური მეთოდები.

უშვილობის მკურნალობაში მაღალეფექტურია ფერმენტულ, ქიმიურ და ბალნეო-ფიზიოთერაპიულ საშუალებათა კომპლექსური გამოყენება. ფართოდ ვიყენებთ აგრეთვე მკურნალობის ფარმაკოლოგიურ, ჰორმონალურ, ვიტამინურ და ქირურგიულ მეთოდებს, რომელთაგან ზოგიერთი საბჭოთა კავშირში პირველად ჩვენს ინსტიტუტში განხორციელდა.

განსაკუთრებულ ადგილს ვუთმობთ ორიგინალურ ვამოკვლევებს ნაყოფიერ და ანალშობლოთა სიცოცხლის ხელოვნურად შენარჩუნების დარგში. ეს ვამოკვლევები, როგორც აღინიშნა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ბოლო სესიაზე, წარმატებით ხორციელდება ჩვენს ლაბორატორიაში, რომელიც ერთადერთია საბჭოთა კავშირში.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ უშვილობის პრიფილაქტიკის საკითხს. ხშირად უშვილობის მიზეზი ხდება ერთი მხრივ სექსუალური მოშლილობა, რომელიც (როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში) ახალგაზრდა ასაკშიაც გვევლინება, მეორე მხრივ ენდოკრინული და გინეკოლოგიური დარღვევები ბავშვებსა და მოზარდებში (ჭარბი თმიანობა, ზრდის ნორმების დარღვევა, ზედმეტი სიმსუქნე, საკვერცხეების ფუნქციის მოშლა სქესობრივი მომწიფების პერიოდში და სხვ.). ყველა ამ შემთხვევაში აუცილებელია ექიმის დროული ჩარევა. სწორედ ამიტომ ამ ცოტა ხნის წინათ ინსტიტუტში შეიქმნა სექსოპათოლოგიის ლაბორატორია და ბავშვთა ენდოკრინოლოგიისა და გინეკოლოგიის განყოფილება.

როდესაც მიღწევებზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში ვგულისხმობთ შედეგს — რამდენ ოჯახს შევძინეთ შვილი. პროცენტულად თუ ვიანგარიშებთ, გინეკურნებულ ქალთა მხრივ იგი ორმოცდაექვს პროცენტს შეადგენს. გაცილებით უკეთესი შედეგი გვექნებოდა, თვით უშვილო ქალები რომ გვეხმარებოდნენ — მკურნალობისათვის დროზე, ქორწინების ერთი წლის უშედეგობის შემდეგ მოგვმართავდნენ. ცხადია, გვიან დაწყებული მკურნალობა ნაკლებად ეფექტურია და ზოგჯერ უშედეგოც. რაც შეეხება განკურნებულ მამაკაცთა რაოდენობას, იგი დისკუსიური უშვილობის შემთხვევაში სამოც პროცენტზე მეტია. ეს მაშინ, როცა მათი მკურნალობის საკითხს ბევრი სპეციალისტი სკეპტიკურად უყურებს.

— აკმაყოფილებთ თუ არა ყველას, ვინც მკურნალობისთვის მოგმართავთ?

— ვერა. ამის მიზეზია საწოლების სიმცირე და ლაბორატორიების სივიწროვე. სულ სამოცდათხუთმეტი საწოლი გვაქვს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მცირეა. ინსტიტუტის შენობის გაფართოების საკითხი სათანადო ორგანოების მიერ უკვე დღის წესრიგშია დაყენებული.

— სამკურნალოდ მოგმართავენ თუ არა ერთი ან ორი შვილის დედები. რომლებსაც სურვილი აქვთ იყოლიონ მეტი შვილი, მაგრამ აღარ უნდდებათ?

— მოგვმართავენ, მაგრამ მცირე რაოდენობით, და ესეც გვიხარია...

— როგორია თქვენი მომავალი მუშაობის გეგმები?

— პირველ რიგში დავასახელებ ახალგაზრდა სპეციალისტების — კადრების მომზადების საქმეს.

ნუ გვიწყრნენ და ჯულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს რესპუბლიკას მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორები საკმაოდ ბევრი ყავს, ჭეშმარიტი სპეციალისტი ექიმები კი შედარებით ნაკლები.

მეცნიერი მუშაკი უნდა აღიზარდოს არა მარტო სამეცნიერო ხარისხის მინიჭებისათვის, არამედ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტად, რომლის პრაქტიკულ საქმიანობას დაამშვენებს მისი სამეცნიერო ხარისხი. განსაკუთრებით ხაზს ვუსვამ მკურნალი ექიმების კვალიფიკაციის დონეს.

მეორე. ჩვენი პრაქტიკული და სამეცნიერო მოღვაწეობის ბაღრმავება უშვილობის პრობლემის შესწავლის დარგში, რაც უდავოდ გარკვეულ წვლილს შეიტანს მოსახლეობის გამრავლების საქმეში.

ტკბილი ნაკვეთი

3 ივნის რაიონის მეფუტკრეებმა საინტერესო ინიციატივა გამოიჩინეს — გააერთიანეს მრავალრიცხოვანი განცალკევებული საკოლმეურნეო ფუტკრის ოჯახები და გადასცეს საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობის საბჭოს. ამჟამად ყველა 350 სკა განლაგებულია მაღალმთიანი სოფლის ფერეთის ტერიტორიაზე, სადაც ფუტკრის განვითარებისა და უხვი თაფლის მოღებისათვის ყველა პირობაა შექმნილი. სურათზე: საკოლმეურნეობათაშორისო მაღალმთიანი საფუტკრე ვანის რაიონის სოფელ ფერეთში.

გ. ბერსამეს ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვახტანგ ქახიანი

უცერად გარდაიცვალა ექიმი და ჟურნალისტი, ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ მთავარი რედაქტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სკკპ წევრი 1949 წლიდან. რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე — **ვახტანგ ვლადიმერის-ძე ქახიანი.**

ვახტანგ ქახიანი დაიბადა 1920 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების თანავე გატაცებით მოჰკიდა ხელი ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საყვარელ საქმეს. დიდი სამამულო ომის წლებში ექიმად მუშაობდა ქუთაისში, ცხაკაიასა და ბათუმში. ათი წლის განმავლობაში თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში იყო. ჯერ უფროსი ლაბორანტი. ხოლო შემდეგ ასისტენტი, მუშაობდა აგრეთვე სამედიცინო ინსტიტუტის ოპერატიული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე.

მალე აქედან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო განათლების სამმართველოს უფროსად გადიოდა, შემდეგ ორთოპედიური დანიშნულებისა და ორთოპედიის ინსტიტუტის მთავარი ექიმი იყო. მომდევნო წლებში იგი მოღვაწეობდა ჟურნალისტურ სამუშაოზე, რითაც ახალგაზრდობიდან ანვე იყო გატაცებული. 1957 წლიდან იყო ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ ჯერ რედაქტორის მოადგილე, შემდეგ კი მთავარი რედაქტორი.

ეს ენერგიული და დაუღალავი ადამიანი შესანიშნავად ათავსებდა მედიცინაში მეცნიერულ კვლევას და ჟურნალისტურ მოღვაწეობას. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი, მათ შორის ორი მონოგრაფია მედიცინის აქტუალურ საკითხებზე. ეწეოდა ავრეთვე მთარგმნელობით მუშაობას, რედაქტორობდა წიგნებს.

ვ. ქახიანი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იყო ქირურგთა და ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებების წევრი, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

მცოდნე, საქმიანი, გულისხმიერი და ამხანაგური მოსიყვარულე — ასე დარჩება ვახტანგ ქახიანის ხსოვნა ყველა იმათ გულში ვინც მას იცნობდა, ვისაც მის გვერდით უცხოვრია და უმუშაია.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ მთავარი რედაქტორი

ვახტანგ ვლადიმერის-ძე ქახიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

18 ივნისი

პირველი პროგრამით

09.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.30 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 11.15 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „დღეს მედიცინის მუშაკის დღეა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია სსრ კავშირის ისტორიაში, 13.15 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ტომ სოიერის თავგადასავალი“, 14.45 — „კინოსაფიშა“, 15.10 — „შვეისწავლოთ ავტომობილი“, 15.30 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 16.00 — ბავშვებისათვის „ცცერდნს ეკრანი“, 16.20 — მოსწავლეთათვის „ქართული ხალხური ლექსი“, 16.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია 1. კინოპროგრამა, 2. „მულტიკრანი“, 18.00 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 18.30 — კინონარკვევი „პაემანი“, 18.55 — ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში. ფინალური მატჩი სსრ კავშირი — გფრ (გადმოცემა ბელგიიდან), 20.45 — კინონარკვევი, 21.00 — „ზოამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 21.10 —„ადამიანი და კოლექტივი“, 22.00 —„ვრემია“— საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კრივში — დასასრული სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან.

მეორე პროგრამით

18.05 — დოკუმენტური ფილმი, 19.20 — კონცერტი, 20.00 — „კინოლექტორიუმი“.

19 ივნისი

პირველი პროგრამით

17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ცცერდენს ეკრანი“, 18.35 — განცხადებები, 18.40 — „სამართლის ცოდნა მასებს“ — საუბარი „მუშა-მოსამსახურეთა შვებულებები“, 19.00 — გადაცემა „კინომოყვარულები“, 19.45 — „ზოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.10 — მხატვრული ფილმი „ინდიელი ჯოს სიკვდილი“, 21.15 — „ბადავაქციოთ მეცხოველეობა რენტაბელურ დარგად“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი — „მღერიან ახალგაზრდები“.

მეორე პროგრამით

17.05 — სკოლების დასახმარებლად — ქიმია (ამოცანების ამოხსნა), 17.50 — მასწავლებლის საათი: რუსული ენა და ლიტერატურა (მეექვსე კლასის კურსი ახალი პროგრამის მიხედვით), 18.35 — კინონარკვევი, 18.45 — განცხადებები, 18.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში, 19.35 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ქიმიაში, 20.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „შვიდი მამაკაცი და ერთი ქალიშვილი“.

თეატრები

18 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბებია და შვილიშვილი (დღისით), მინდია (საღამოს, მე-6 ამონ. მე-7 წარმოდგენა); **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო — ხანუმა; მარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიური** — მზის დაბნელება საქართველოში (დღისით), ურიელ აკოსტა (საღამოს); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — კეკრას ქორწილი (დღისით), მაკოცე, კეტ (საღამოს).

დისერტაციების დაცვა

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 11, № 1 აუდიტორია)

28 ივნისს, დღის 2 საათზე, **მალვინა თეოფილეს ასული დავლიანიძე** ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ვვარ Gagea Salisb. კავკასიის წარმომადგენელთა კარიოსისტემატიკური გამოკვლევა“.**

28 ივნისს, დღის 4 საათზე **დონარა გედევანის ასული გიორგაძე** ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„თუთის ხუჭუჭა ვერილფოთლიანობის გადატანის გამოვლინება და მისი ურთიერთკავშირის შესწავლა დავადების გამომწვევთან“.**

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 11, № 1 აუდიტორია)

29 ივნისს, დღის 3 საათზე **ბორის არჩილის-ძე ლომსაძე** ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ლიზოსომების როლის შესწავლისათვის კანცეროგენეზისა და სხვიური დაავადების პროცესში“.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 1, № 107 აუდიტორია)

30 ივნისს, დღის 2 საათზე **ჯონდო ვაჩრდენის-ძე გაფრინდაშვილი** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„სოციალისტური შეჯიბრება და სოფლად კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის წინაპირობები საქართველოში (1953-1958 წწ.)“.**

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 1, საქტო დარბაზი)

30 ივნისს, დღის 12 საათზე **ნოდარ ალექსანდრეს-ძე ასლანიკაშვილი** გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„მზის რადიაციის საუკუნეობრივი მსვლელობა ამიერკავკასიაში“.**

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 3, ფიზიკის დიდი აუდიტორია)

1 ივნისს, დღის 2 საათზე **თამარ გრიგოლის ასული მეგრელიშვილი** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე **„დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენების გამოკვლევის ბინდის მეთოდი და მისი გამოყენება“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8)

1972 წლის, 4 ივლისს დღის 1 საათზე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს **ლამარა გორისის ასული ფაშაევა** თემაზე: **„წალკელ ურუმთა ოჯახი და საოჯახო ყოფა“.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(მელიქიშვილის 10, მე-3 სართული, საქტო დარბაზი)

28 ივნისს, დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნოდარ პეტრეს-ძე ქავთარაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ეპილეფსიის ზოგიერთი კლინიკური და პათომორფოლოგიური ახპექტი თავის ტვინის სიმსივნეების დროს“.**

29 ივნისს, დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **პარნილ ვლადიმერის-ძე ასათიანი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„კვებითი მოქმედების ნეირო-ჰუმორალური მექანიზმები“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

„კომუნისტის“ ფოსტიანი: 380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03 09, 3/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-29-34, სოფლის მეურნეობის — 99-62-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სახსწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04553

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

რედაქტორის მოადგილე ბ. თათარიშვილი.

4